



იური სიხარულიძე

ევფე პაგრატ Ⅲ



იური სიხარულიძე

მეცნ პატიაჭ Ⅲ

დაიბეჭდა

პათუმ-ლაშეთის მიტროპოლიტის დიმიტრის (შიოლაშვილი)
ლოცვა-კურთხევით

თბილისი
2018

2018 წელს 1100 წელი სრულდება საქართველოს აზნაურული გაერთიანებიდან, რომელიც მეფე ბაგრატ III-მ განახორციელა და უდიდესი როლიც შეასრულა საქართველოს ცხოვრებაში.

ამ საისტორიო აქტს დიდი ყურადღება მიაქცია ჩოხატაურის მერიამ (მერი ირაკლი კუჭავა) და დიდი ხალისით იტვირთა ამ წიგნის გამოსაცემად საჭირო ხარჯები.

დაინერა 1958 წელს.

რედაქტორი:
ზაზა სიხარულიძე, პროფესორი

რეცენზიენტი
დეკანოზი გიორგი (ჯიბუტი)

გარეკანის დიზაინი
თეკლა ჯიბუტი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ნათელა ტალახაძე

ტიპოგრაფიკა:
პაატა მამული

დაბეჭდა:
„პოლიგრაფიულუქსში“
დირექტორი:
შოთა ცინცაძე
მის.: თბილისი, რობაქიძის ქ. №7

ISBN 978-9941-8-0116-7

დაგადება

902-903

ვ. გურია ბაგრატის დაბადების X ს-ნის 60-იანი ნლების დამდეგს გულისხმობს (მისი, ბაგრატ III, ქსე, 2; 1977, გვ. 128).

დამდეგი („დასაწყისი“) საკმაოდ ფართო ცნებაა და შეიძლება მისი რამდენადმე დავინორებაც, რაშიც ბაგრატის ქართლის გამგებლად დადგინდების დრო გვეხმარება.

ეს 975 ნელს იყო.

საინტერესოა, რომ ამ დროს ბაგრატი ჯერ კიდევ არ იყო სრულწლოვანი და ამიტომ თანაგამგებლად მამა დაუყენეს (მატიანე ქართლისა, ქცია, I, 1955, გვ. 274).

სრულწლოვნებად იმ დროს, როგორც ჩანს, 16 ნელი ითვლებოდა. ამას მონმობს დავით IV აღმაშენებლის გამეფება. მისთვის რეგენტი არ მიუჩენიათ ოფიციალურად.

ასეთ სრულწლოვნებას, ჩანს, ბაგრატმა 978 ნელს მიაღწია, როცა ქუთათისის ტახტზე დასვეს.

თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ 975 ნელს, როდესაც იგი ქართლის გამგებელი გახდა, 12-13 ნლისა უნდა ყოფილიყო თითქოს. თუ ამას ვიგულისხმებთ, მაშინ მისი დაბადება 962-963 ნლებში უნდა ვივარაუდოთ.

მშობლები

მამა გურგენ ბაგრატიონი, დედა — გურანდუხტი ლიხიქი-თის მეფის გიორგი მეორის (921-957) ასული.

გურგენი დიდხანს შერჩა შავშეთს ერისთავთ-ერისთავებს საკარცხულს და მხოლოდ 994 წელს ენია მეფობას — მამის ბაგრატ II რეგვენის (957-994) გარდაცვალების შემდეგ.

მისი ბედი, რომ უფროსი ძმა სუმბატი ადრე (992) გარდაიცვალა, თორემ მეფის ტახტისათვის კიდევ კარგახანს უნდა ელოდინა და არც იმის გამოცნობა იქნებოდა ადვილი ელიტისებოდა თუ არა ის მეფობას საერთოდ.

არ არის გამორიცხული, რომ ბიძა მოკლულიც იყოს. ბაგრატის ასეთ რამეზე ნასვლა არ უჭირდა.

გურგენი ბაგრატის მოკავშირე იყო, თორემ მხოლოდ მამობით ის ამას არ დაინდობდა.

და ეს ბაგრატის ვერაგობის ნაყოფად კი არ შეიძლება ჩაითვალოს, არამდე დროსა და იმ დიდი საქმის მოთხოვნილებად, რომელსაც ის შედგომოდა.


ბაგრატი რომ მამას არ დაინდობდა, ეს 998 წლის აქტიდანაც კარგად ჩანს, როდესაც ის ისეთ დიდ ავტორიტეტსაც არ მოერიდა, როგორიც მისი გამზრდელი დავით III კურაპალატი იყო.

გურგენი მხოლოდ იმან იხსნა, რომ ბაგრატის ის კარგახანს ისე ჭირდებოდა, რომ ადვილად ვერ შეელეოდა.

ვინ უნის, როცა მამა მეფეთმეფე საჭირო აღარ შეიქნა, კიდეც გაისტუმრა საიქიოს.

ეს 1008 წელს იყო.

გურანდუხტის, გიორგი მეორის ასულს, როგორც ჩანს, მამისაგან მოსდგამდა პოლიტიკისადმი მიდრეებილება. ქმრის ერისთავობისას რას აკეთებდა არ ვიცით, მაგრამ 975 წლიდან ის უკვე დიდ პოლიტიკურ სარბიელზეა, როგორც ქართლის თანაგამგებელი. ეს თანამდებობა მან კახთა ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ დაიკავა (975), ხოლო სამი წლის შემდეგ გამგებელი გახდა და ასრულებდა ამ მოვალეობას მეტად მძიმე პირობებში. მაგრამ ბაგრატმა, როცა ფეხი მოიკიდა, საჭიროდ აღარ მიიჩნია დედის პოლიტიკური მოღვაწეობა, ნაიყვანა ქუთათისს და



შემდეგ აღარც ჩანს წყაროებში. არავინ იცის რა აპირობებდა
მის ასეთ გაუჩინარებას. ისე რომ გადაყენებული პოლიტიკოსი
აღარავის აინტერესებდა, თუ რამე წინააღმდეგობა შეაგება
შვილს და მან ჩვეული მკვეთრი მეთოდით მოიკვეთა ის.

სახელი პატრატ

ბაგრატიონთა საგვარეულოში ეს საკუთარი სახელი დიდად
იყო მიღებული. მარტო ის რად ლირს, რომ ეს საგვარეულო
სწორედ ამ სახელისაგან წარმოდგა.

ბაგრატი ერქვა აშოტ პირველის (გარდ. 826 ნ.) შუათა-
ნა ძეს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ბაგრატიონთა ტაოს
შტოს, რომელმაც მისცა საქართველოს ქვეყნის გამაერთიანე-
ბელი დიდი მეფე ბაგრატ III (978-1014).

ტაოს ბაგრატიონებში ამ სახელით სხვადასხვა დროს სულ
ხუთი ბაგრატი მოღვაწეობდა. მათ შორის მეფობის ტიტული
მხოლოდ სამს მიენიჭა. პირველი მათ შორის ქართველთა მე-
ფის ადარნასე მეორის (898-923) მეორე ვაჟი ბაგრატ I (937-
945). შემდეგ ეს პატივი ნილად ხვდა ბაგრატ I-ის უმცროს
ძმისწულს სუმბატ კურაპალატის უფროს ძეს ბაგრატ II რეგ-
ენს (957-994), ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელის შვილიშვილს
მეორე ვაჟიდან (გურგენი — მეფეთამეფე 994 ნლიდან) დედი-
სერთა შვილსა და პაპის სენიას ბაგრატ მესამეს — საქართვე-
ლოს გამაერთიანებელს.

აღზრდა

ბატონიშვილი იმ დროს მიღებული აღზრდის რიგით იზ-
რდებოდა. სხვათაგან განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ,



როდესაც ნამოიზარდა, მისი აღზრდა ისეთი დიდი პოლიტიკო-სის ხელში გადავიდა, როგორიც დავით III კურაპალატი იყო. ამ სამის ინიციატივი ბატონიშვილის არც მამა ყოფილა, არც დედა და არც პაპა — მეცე ბაგრატ II. ეს ინიციატივა თვით დავითისაგან მოდიოდა.

დავითი უშვილო იყო. უძეოდვე გადავიდა მისი უფროსი ძმა ბაგრატ IV ერისთავთ-ერისთავიც.

შვილი არც ბაგრატ რეგენის პირმშო ძეს (სუმბატ ერის-თავთ-ერისთავს) ესვა, თორემ შესაძლოა მას ერთგვარი კონ-კურენცია გაეწია გურგენ ერისთავთ-ერისთავისათვის. ჩვენ არ ვიცით რომელი სამეფო თუ დიდაზნაურული (თუ ნახარარული) სახლიდან იყო მისი თანამეცხედრე, თორემ ამ საკითხს უფრო საფუძვლიანად გავარჩევდით. ეს სხვა მხრივაც დიდად საინტე-რესოა, მაგრამ ამჟამად სხვა კუთხით იქცევს ყურადღებას. ერთი თითქოს ნათელია, რომ ლიხხოიქითის სამეფო სახლიდან არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც ძალიან საეჭვოა, რომ ორივე ძმა ქუთა-თისელ უფლისნულებზე ყოფილიყო დაქორნინებული. არც ერთი სამეფო სახლის შვილობას იმ დროს არ ჰქონდა ისეთი მნიშვნე-ლობა, როგორიც ქუთათისისას, რადგან ბაგრატის აღზრდის ამ ეტაპზე (ათიანი წლების დამდეგიდან მაინც) უკვე საკმაოდ ხელ-შესახებად ინაკვთებოდა ქუთათისის ტახტის მომავალი.

დავით მესამე ამ დროიდან, უეჭველია, თუ დაბეჯითებით არა, სავარაუდო დონეზე მაინც კარგად ჭვრეტდა შესაძლებელ პერიპეტიებს და თავისი აღსაზრდელის სამომავლო ნარმატე-ბებს ლიხხოიქითში.

ბატონიშვილის დედის ლიხხოიქითური ნარმომავლობა ასე-თი რამის საკმაოდ მყარ საფუძველს ქმნიდა. როგორ იზრდებო-და ყრმა ბატონიშვილი დავით მესამის სასახლეში (ოლთისს) არ ვიცით, რადგან ამაზე ცალი ცნობაც არ შემონახულა, მაგრამ მისი ზოგადი კონტურები საერთო ვითარების კვალად ძნელი ნარმოსადგენი არაა.

ნიგნიერი წერთნა

ა) საერო ხაზით

ბ) სასულიერო ხაზით

ენების შესწავლა (არაბული, ბიზანტიური, სომხური, სპარსული)

ფიზიკური წერთნა

სხეულის განმტკიცება (ვარჯიში)

მხედრული წერთნა

ისრის ტყორცნა

ცხენოსნობის დაუფლება

ა) ჯირითი

ბ) ცხენბურთი

ნაფირობა

პოლიტიკური წერთნა

ასე გვესახება მისი სასწავლო პროგრამის ზოგიერთი ას-
პექტი.

ვინ უნდა ყოფილიყვნონ ბაზრატის მასწავლებლები:

ამათგან დღესდღეობით სახელდობრ მხოლოდ ერთია ცნობილი — დავით მესამე.

გარდა იმისა, რომ დავითი ბატონიშვილის პოლიტიკურ წერთნას ხელმძღვანელობდა, ის სააღმზრდელო პროცესის მთავარი წარმმართველიც იყო.

ბატონიშვილის ნიგნიერი განათლების ხელმძღვანელად უფრო, ალბათ, დავითის კარის მოძღვარ უნდა მივიჩნიოთ. ვინ უნყის იქნებ დავითის აღმზრდელიც კი.

სამხედრო საქმეებში ბაგრატის წერთნის საერთო ხელმძღვანელად იმიერ-ტაოს სამხედრო უნყების გამგებელი არის სავარაუდებელი. იმ დროს, როდესაც ბაგრატი ავიდა ოლთისს,



თორნიკე ერისთავი უკვე შემონაზვნებული იყო. ვინ მიიღო მისი მექანიდრეობა, ამაზე პირდაპირი ჩვენება არ მოგვეპოვება, მაგრამ რამდენადმე გვიანდელი ვითარებიდან გამოვალთ, მაშინ გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ თორნიკეს ადგილი იმ დროს იმ ჯოვიეს სჭეროდა, რომელიც ასე სახელოვნად სარდლობდა ქართველთა ლაშქარს სარევენოსნოს 979 ნლის ბრძოლაში.

ბატონიშვილის ნადირობის რეჟიმი ამ უწყების ხელმძღვანელის კომპეტენცია უნდა ყოფილიყო. ენები საამისოდ მოწვეულ მასწავლებლებს უნდა ესწავლებინათ და ა. შ.

ორგანობა ლიხტიძის

978-980

978 ნელს, მართალია, ბაგრატ III გამოაცხადეს ლიხტიძითის მეფედ, მაგრამ ამას უსინათლო მეფის გადადგომა არ მოჰყოლია.

ასე რომ, ერთსა და იმავე დროს ქუთათისის ტახტზე ორი მეფე — ბიძა და დისნული აღმოჩნდა.

ბაგრატი ლეგიტიმური მეფე გახდა, მაგრამ რამდენიმე ნელს მას მაინც არ მოელის დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა.

ორი ნელი მოუნდა ბაგრატ მესამეს იმისათვის, რომ გაერდვია ეს ჩიხი, ჩამოეცილებინა ბიძა მეფე და მტკიცე ხელით შედგომოდა პოლიტიკურ მოღვანეობას.

P.S. ორმეფობის ორი ნელი ლიხტიძითში ქართულ ისტორიაგრაფიაში ვერ კიდევ არათუ შესწავლილია რამდენადმე მაინც, არამედ ეს საქმე დაწყებულიც არაა.

ატენის ციხე მდ. ტანას მარცხენა ნაპირზე აღმართულ მალალი მთის ქიმზეა აგებული. მის აგებას X ს-ში ვარაუდობენ. ნაგებია ნატეხი ქვით — ციხე გალავნის ტიპისაა, რომელშიც ჩრდან შეისვლება. გალავნის შიგნით შემონახულია მეციხოვნეთა სადგომების და სხვა ნაგებობათა ნაშთები, ნყალსაცავი.

ატენის ციხე-გალავანი გზის მაჟონტროლებელი ციხე იყო. იქ გადიოდა სამხრეთ საქართველოდან ატენით მიმავალი გზა.

ციხე კლდეკარის ერისთავის რატის აგებული შეიძლება იყოს.

რატი თრიალეთის პატრონი იყო და იმიერ-ტაოს გამგებელს დავით მესამეს ემორჩილებოდა.

ბაგრატ III-ემ მალე დაადგა თვალი კლდეკარის ერისთავს, მაგრამ დავით კურაპალატთან მისი დამოკიდებულება ბორკავდა. 988 წელს მან გადაწყვიტა დავითის დამხობა და ამ მიზნით გადავიდა კიდეც ქართლს, მაგრამ გამზრდელმა დიდალი ჯარის შეყრა მოასწორო და ბაგრატსაც გეგმა ჩაუშალა. მოუხედავად ამისა ბაგრატმა იმას მაინც მიაღწია, რომ პირადად ეახლა მამობილს დლივს (ჯავახეთში) და რატის დანებება თხოვა. დავითი დათანხმდა. 989 წელს ბაგრატი ნავიდა კლდეკარს და ნარმატებით გადაჭრა რატის დამორჩილების საკითხი. ამიერი-დან ატენის ციხეც მის ხელში გადავიდა, რატის სხვა ციხეებიც.

ატენის ციხის დაკავება საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლ მეფეს კიდევ ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ უპირატესობას უქმნიდა ქართლს.

როდის დაინტერესულის მშენებლობა, არ ვიცით, ცნობილია მხოლოდ აშენების დრო — 996 წ. თუ გავითვალისწინებთ ამ საყდრის გრანდიოზულობას, მაშინ მისი აშენებისათვის ერთი ან ორი ნელი საკმარისი არ იქნებოდა. ამის მიხედვით მარტვილის მშენებლობა X ს-ის 90-იანი ნლების დამდეგს მაინც უნდა დაწყებულიყო.


გეგმა — პატრატის პოლიტიკური რეზიდენცია X ს-ის 90-იანი ნლები

როდის გადაწყვიტა ბაგრატმა ბედიის ტაძრის პოლიტიკურ რეზიდენციად ქცევა, არ ვიცით, მაგრამ ამ იდეას რომ 90-იანი ნლებიდან ესხმება ხორცი, ეს აშკარაა.

ჩვენი მეფის რეზიდენციის ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში გაჩენის საკითხი ისტორიოგრაფიაში დღესდღეობით არა თუ შესწავლილი, დაყენებულიც კი არ არის. ეს საკითხი უეჭველად, საქართველოს გაერთიანების ინტერესებით იყო გაპირობებული, მაგრამ მარტოდენ ამის აღნიშვნა როდის საკმარისი, აუცილებელია აგრეთვე ამ თეზისის კონკრეტული შესწავლა და იმ კომპონენტთა წარმოჩენა, რასაც ბედიის მეფის რეზიდენცია-დ ქცევა ისახავდა მიზნად.

ცხადია, მეფის პოლიტიკური რეზიდენცია შეუძლებელია თვალსაჩინო საეკლესიო ცენტრის გარეშე და სწორედ ამან განაპირობა იქ საეპისკოპოსო საყდრის აშენება.

ყველაფერი ეს თკითქოს გასაგები და ნათელია, მაგრამ თუ საქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბედიას თავის საქალე-დაც აირჩევდა, ეს უკვე ძნელად მოსაფიქრებელი იქნებოდა.



უფრობუნებრივი იქნებოდა, ალბათ, თუ მეცე იქ დაიკრძალა ლებოდა, სადაც სამეფო ტახტი ედგა, მაგრამ ბაგრატმა ეს არ ისურვა და, ეტყობა, ბედიას დაერძალვის ანდერძი დაუტოვა თავის უახლოეს პირს ზეიად ერისთავს — მარუშიანს.

არც ესაა დღემდე ჯეროვნად ახსნილი და შეფასებული.

პასილი უფლისცელი

ბაგრატ III-ეს მეორე ვაჟიც ესვა, რომელსაც ბასილი ერქვა. როდის დაიბადა, ამაზე პირდაპირი ცნობა არ მოვევეპოვება.

ამ ხარვეზის შევსება შეიძლება არაპირდაპირი მონაცემებით, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბასილის უფროსი ძმის, გიორგის, დაბადების თარიღი — 996 წელი.

აქედან ნათელია, რომ ბასილი 997 წელს ან მის ახლოს უნდა დაბადებულიყო (998 წელს მაინც).

და ეს იმ დროს, თუ ის ბაგრატის მეორე ვაჟი იყო, ხოლო, თუ ასე არ იყო ბასილი მეფის პირმშო იყო, მაშინ მისი დაბადებაც ნინ გადაინევს შესაბამისად, გიორგის შობის ნინ ორი ნლით მაინც და იქნებ მეტითაც.

ვინ იცის იქნებ ძმებს შორის დაა-ც კი იდგა. თუ არა ის, რომელიც ფერსი ჯოვიკისძეს ესვა თანამეცხედრედ, სხვა რომელიმე.

ასე რომ, ბასილის დაბადების დრო რომ მიახლოებით მაინც სწორად განისაზღვროს, ამისთვის სერიოზული ძიებაა საჭირო, რაც დღემდე არავის ჩაუტარებია და რომლის საჭიროებაც ახლა უკვე ასე საგრძნობია, რადგან ბაგრატის ძის, ბასილის სახით ჩვენს წინაშეა დიდი საეკლესიო მოღვანე. და რაც საინტერესო და საგულისხმოა ამ რანგისათვის (დიდი) მას უკვე XI ს-ის 60-იანი წლების მინურულისათვის აქვს მიღწეული.

ეს შესანიშნავად ირკვევა გიორგი მთანმინდელის ცხოვრებიდან, რომელიც ამ დიდი მოღვაწის ნიჭიერი მონაფის გიორგი მცირის კალამს ეკუთვნის.

აქედან ჩანს, რომ, როცა 10 ნლის გიორგი (1019 ნელს) ხახულის ჩაიყვანა მამამ (იაკობმა), პირველად ლავრის ნინაშძლვარ მაკარის ნარუდგინეს, ხოლო შემდეგ — „დიდა... ბასილის ბაგრატის ძესა მიჰვარეს... რომელი-იგი მას უამსა შინა იყო მოძლუარი და განმანათლებელი ქუეყანისა ჩუენისაა“ (კ. მცირე, ცხოვრება გიორგი მთანმინდელისა, ძელი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 1967, გვ. 116).

საოცარია, რომ ასეთი დიდი რანგის მოღვაწეს („მოძლუარი და განმანათლებელი ქუეყანისა ჩუენისაა“) ცხოვრება და შემოქმედება აქამდე თითემის სრულიად შეუსწავლელია.

ამ ხარვეზს სრულებით ვერ ანელებს ის მცირე შენიშვნა, რომელსაც კ. კეკელიძე გვთავაზობდა „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“.

კ. კეკელიძე ყურადღებას ამახვილებს ექვთიმეს საგალობლებზე, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის-ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (ტ, 1710, გ. 675-ზ.ა.).

შემდეგ ავტორი ამ მოღვაწის შესახებ გიორგი მთანმინდელის ცხოვრებაში დაცულ ცნობებს ეხება (კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., 1951, გვ. 211), ხოლო ბოლოს ითანე ბატონიშვილის „კალმასობიდან“ მოაქვს ამონანერი, სადაც დიდი ბასილი ასეა დახასიათებული: „ბასილი ბაგრატიონი იყო საფილოსოფოსთა და ლვისმეტყველებასა შინა ზედმინევნილი, მთარგმნელი სხვათა ენათაგან კეთილიდა რიტორი — მომთხრობელი, და მაღალ ფრასასა ზედან დამთხზველი, მონოზონებითა სრული, და განმანათლებელი ეკლესიათა, რომელსა უნოდეს ქართველთა ეკლესიათა სამეაულად“ (იქვე).

სამნუხაროდ, ჯერჯერობით ამის დამადასტურებელი მასალები არაა გამოვლენილი (იქნებ არცაა მოღნეულიც), მაგრამ



იოანე ბატონიშვილს ეს დახასიათება არ შეიძლება ზეპირად გაეკეთებინა და საამისო ნივთიერი მასალა ხელთ არ ჰქონდა:

1. „ზედმინევნით“ იყო ჩახედული ფილოსოფიასა და ღმრთისმეტყველებაში.
2. ყოფილანაყოფიერი მთარგმნელი.
3. ყოფილა რიტორიკული მადლის მომთხრობელი.
4. გამორჩეული ჰქონია სტილიც: „მაღალ ფრასასა ზედან დამთხველი“.
5. „მონოზონებითა სრული“.
6. ყოფილა „განმანათლებელ ეკლესიათა“, მაგრამ არა ჩვეულებრივი, არამედ ისეთი რანგისა, რომ თავის დროსავე მიუღია ეპითეტად „ქართველთა ეკლესიათა სამკაული“.

ასეთი ღირსებებით შემკული უფლისნულის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა დიდი საშური საქმე გახლავთ, მაგრამ მასალების უქონლობამ, ეტყობა, იგი ასე მოუთმენლად შეაფერხა.

განა მცირედმეტყველია ისიც, რომ 1019 წელს ბასილი ხახულის ლავრაში ნინამძღვრის შემდეგ ყველაზე უფრო პატივდებული მოღვაწეა. ეს ხომ ნათლად ჩანს გიორგი მთანმინდელის ცხოვრებიდან. ასე რომ არ ყოფილიყო, ნინამძღვრის შემდეგ ახლად მოსულ ყრმას მას კი არა, სხვას წარუდგენდნენ. საგულისხმოა, რომ გიორგი მცირე, ალბათ, გიორგი მთანმინდელის მონათხრობის კვალად, უფლისნულს თავისი დამსახურებითა და შემოქმედებითი პოტენციალით ისეთ მოღვაწეზე ნინაც კი აყენებს, როგორიც იყო სახელგანთქმული ილარიონ თვალოელი, „რომელი იგი მას უამსა ვითარცა მთიები ბრწყინავდა კრებულსა შორის მამათა“ (გიორგი მცირე, დასახ. ნაშრ., გვ. 116).

თუ ბასილი ბაგრატის მეორე შვილი იყო, მაშინ 1019 წელს ის შეუძლებელია 20-22 წელს, უასაკესი არ უნდა ყოფილიყო. და თუ მართლაც ასე იყო, როგორლა მიაღწია ასე მცირე ასაკში

ესოდენ დიდ სიმაღლეს და იმ სიდიდეს, რაც გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაშია მოცემული. თუ ეს უკანა ჟამით არის ნათესავამი, მაშინ სხვაა, მაგრამ, თუ ასე არაა და მნერალი X ს-ის ათიანი წლების მიწურულის ვითარებას გადმოგვცემს, მაშინ ის გაცილებით უფრო ადრე უნდა იყოს დაბადებული. და თუ ეს დადასტურდება, მაეშინ ის ბაგრატის პირმშოდ შეიძლება მივიჩნიოთ.


გასილი პერი (უფლისცული?)

X-XI სს

გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში, რომელიც გიორგი მცირებ დანერა, ხახულის მონასტრის ბერთა შორის XI საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს იხსენიება ვინმე ბასილი ბაგრატისძე — ტაოელი დიდაზნაურის ფერსი ჯოვიერისძის ცოლისძმა (გ. მცირე, ცხორებად გიორგი მთაწმინდელისად, ძეელი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 1967, გვ. 117).

არც იც. ჯავახიშვილს, არც სხვა ვისმე ქართველ ისტორიკოსს, ეტყობა, ყურადღება არ მიუქცევია ამ ცნობისათვის. იც. ჯავახიშვილი ჩვეულებრივ დიდი გულისხმიერებით სწავლობდა ხოლმე ამა თუ იმ ქართველი მეფის ოჯახს — სახლობას, მემკვიდრეებს, მაგრამ აქ რატომდაც ვერ გამოიჩინა ჩვეული სიმახვილედა აღარც შემდეგ გამოჩნდა ვინმე ამ პირის ვინაობის გამრკვევი.

და მხოლოდ კ. კეკელიძემ მიუთითა ამ ბერის მამის (ბაგრატის) ვინაობა — ბაგრატ მესამე (ძეელი ქართული ლიტერატურის ისტორია I, 1951, გვ. 190), მაგრამ არც ამის დასაბუთება უცდია, არც ამ ბასილის ადგილის გარევევა ბაგრატ III-ის მემკვიდრეთა რიგში, არც მისი საერთო სახელის დადგენა და არც მისი ცხოვრების შესწავლა საერთოდ.



საოცარი ის არის, რომ არც ნარატიულ საისტორიო წყაროებს და არც მინანერებს ან კვინჯლოსებს ბაგრატის მემკვიდრეთა შესახებ არ შემოუნახავთ რაიმე მინიშნებანი.

თვით ბაგრატიონთა მეისტორიე სუმბატ ბაგრატიონსაც კი არაფერი აქვს ნათქვამი ამაზე. როცა იგი ფანასკერტის ციხეში ბაგრატის გარდაცვალებას აღნიშნავს (1014), მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ მან „დაუტევა ძე თვის გოორგი, და დავდა იგი მეფედ წლისა იტ(=18) (სუმბატ დავითისძის ქრონიკა, ე. თაყაიშვილის გამოცემა, 1949, გვ. 69).

რით შეიძლება აიხსნას ბასილის თუ ბაგრატის სხვა შვილთა იგნორირება სუმბატის მიერ?

ანდა რატომ დუმს „მატიანე ქართლისას“ აეტორი? რაშია საქმე?

ხომ არ არის ბასილი ბაგრატ III-ის უკანონო შვილი?

ანდა ეს ბასილი (და მისი დაი) ბაგრატ II რეგვენის შვილები იყვნენ და არა ბაგრატ III-ისა.

ცხადია, ბასილი არ არის ამ ბერის საერო სახელი, რადგანაც ეს სახელი მიღებული არ იყო ბაგრატიონთა სახლში.

როდის შეერთო „ბასილ ბაგრატისძე“ ხახულის ძმობას, ამაზე გოორგი მთანმინდელის ცხოვრებაში არაფერია ნათქვამი.

არც ის ვიცით, რამდენი წლისა იყო ამ დროს, ანდა მანამდე სად იმყოფებოდა.

მართლაც თუ ის უფლისწულია, რატომ აღკვეცეს ბერად?

თუ, მართალია, მისი ბაგრატის ძეობა, მაშინ თითქოს პირმშო არ უნდა ყოფილიყო.

მეორეს კი ჩვეულებრივ შეიძლება ადრიდანვე ბერობა რგებოდა.

მაგრამ ტაოში ასეთი ტრადიცია არ იყო.

დავით III ბაგრატიონი მეორე ძე იყო ადარნასე კურაპალატისა (— 961), მაგრამ ტოლს არ უგდებდა უფროს ძმას (ბაგრატის).

შეიძლება უფრო ძეც კი იყო (თუ მართლაც მისი იყო).
ამას გვაფიქრებინებს ბაგრატის ვაჟის სახელი გიორგი, ისე
დროის ტრადიციით ბაგრატს არ შეიძლებოდა თავისი უფროსი
შეიღისათვის გიორგი დაერქმია, რადგან ტაოს ბაგრატიონთა
სახლში გიორგი მიღებული სახელი არ იყო.

სადაც სამართალია, მას თავისი ძისათვის, თუ ის ერთა-
დერთი იყო, გურგენი უნდა შეერქმია — პაპის სახელი (მამით),
ხოლო თუ მეორე იყო, მაშინ მეორე პაპის სახელი (დედის ხა-
ზით).

მე დღესაც არ ვიცი ვინ იყო ბაგრატ III—ის თანამეცხედრე
(რომელი ქართული სახლის შეიღი თუ უცხოელი) და რა ერქვა
მას ან მის მამას.

არაა გამორიცხული, რომ ბაგრატს, როგორც აფხაზთა მე-
ფეს თავის 996 წელს დაბადებული შეიღისათვის (თუ, რა თქმა
უნდა, გამეფებისას მისი ასაკის სუმბატისეული განსაზღვრა
(18 წლისა) სწორია). თავის დედის (გურანდუხტის) მამის სა-
ხელი (გიორგი) შეერქმია. იმ დროს ეს უფრო მიღებული იყო,
რადგან იმ უამს, როცა გიორგი უფლისნული იშვა, ბაგრატ III
ჯერ მხოლოდ ლიხთიქითის (აფხაზეთის) მეფე იყო და იმ ტრა-
დიციების მატარებლად უნდა გამოსულიყო, რაც ლიხთიქითს
მოსდგამდა.

ბასილ ბაგრატისძე ქარგი ბერი ყოფილა, უმნიკლო „ღმრთის
მსახური“ (ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისათ, გვ. 117).

მას თურმე ამ ნიშნით არც და ჩამორჩებოდა. გიორგი მცი-
რე ამ აზრს გიორგი მთაწმინდელის სიტყვებით ამაგრებს: „...
რამეთუ იტყოდის წმიდა იგი, ვითარმედ: „არა უდარეს იყო
ლირისი ესე დედაკაცი ღმრთის-მსახურებითა ძმასა თვესა, ნე-
ტარსა ბასილისო“ (იქვე).

სხვა მხრით თითქოს ის გამორჩეული არ უნდა ყოფილიყო...
მონაწილეობდა თუ არა მონასტრის კულტურულ ცხოვრე-
ბაში არ ვიცით.

არც ის ვიცით, როდის ალესრულა.

საინტერესოა, როცა მისი და და სიძე (ფერსი) მოღვარსა
ექებდნენ რატომ მაინცდამაინც გიორგი მნერალი აირჩიეს და
არა ბასილი?!

ბასილი ხომ ძმა იყო ფერსის მეუღლისა და მასზე ახლო-
ბელს სად ნახავდა.

გაგრამ ვინ გაუბედავდა ბასილის შინა მოძღვრად დადგო-
მის შეთავაზებას?



„საყდარი პედიისა“

ბედიის ტაძარი მდებარეობს სოფ. აგუ-ბედიაში, ოჩამჩირი-
დან 25 კმ დაშორებით (ჩრდილო-აღმოსავლეთით).

ტაძარი აგებულია სპეციალურად შერჩეულ შემაღლებაზე,
რომელსაც მხოლოდ ერთი მხრით (დას-ით) აქვს მისასვლელი.

როდის დაინყო ბედიის საყდრის მშენებლობა, არ ვიცით,
დასრულებულა კი 999 წელს (გ. გოცირიძე, ბედიის ბარძიმი,
1984, გვ. 3).

ბაგრატის მესამე შვილიც ეშვა, ოღონდ ახლა უკვე ქალი, როდის დაიბადა უფლისნული, ამაზე პირდაპირი ცნობა არ შემოგვირჩენია.

არაპირდაპირი მონაცემებით უფლისნული 998 ნლის ახლ
ხანებში უნდა დაბადებულიყო, ალბათ, 999 ან 1000 ნელს მაინც.
რა სახელი შეარქვეს, არაა ცნობილი. ტრადიციის კვალად მას
დიდედის (მამის მხრიდან) სახელი, გურანდუხტი, უნდა მიეღო,
მაგრამ ბაგრატ მეფე უფრო პოლიტიკას უხდიდა ხარჯს, ეიდ-
რე ტრადიციას. ამაში პირმშო ძის (გიორგის) სახელიც გვარ-
ნმუნებს. ტახტის მემკვიდრეს ბაგრატმა თავისი მამის სახელი
კი არ შეარქვა, როგორც ამას ტრადიცია აპირობებდა, არამედ
თავისი დედის მამის, ეგრის-აფხაზეთის დიდი მეფის გიორგი
მეორის სახელი.


ვინ იცის თავისი დედის სახელს მან რომელიმე ლიხთიქ-თელი დედოფლის სახელი ამჟობინა.

„კუთხის ვისტავების...“

„უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმის ყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მეფობისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედის ეკლესისა“ — ნერს „მატიანე ქართლისა“-ს ავტორი (ქართლის ცხოვრება, 1, 1955, გვ. 281).

როგორც სწორადაა შენიშნული, ქართულ ისტორიოგრა-
ფიაში „ეს ერთადერთი მაგალითია, როცა მეფეობის სიდიადის
განმსაზღვრელად გვევლინება... ტაძრისადმი შენირული სამკა-
ული“ (გ. გოცურიძე, ბეჭის ბარძიმი, 1984, გვ. 3).

უამთა სიავეს, სამწუხაროდ, ვერ გადაურჩა ეს სასწაული და ამიტომ დღეს აღარ ხერხდება იმ „განკუთისა და გულის-



ხმის ყოფის" დაქმაყოფილება, რაზეც ასე შთამბეჭდავად მიუ-
თოთებს XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი.

ამ ხარვეზს მცირეოდენად მხოლოდ ბედის ის ნაკლულად
მოღწეული ოქროს ბარძიმი ავსებს, რომელიც საქართველოს
ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ბედის ბარძიმი ქართული ტედური ხელოვნების ბრნყინვა-
ლე ძეგლია (იქვ. გვ. 4).

მთავს ასეთი შეილობილი

138 ნლის ივლისში გარდაიცვალა ადრიანე კეისარი (117-
138). რადგან უძეო იყო ლუციუს ცეიონიუს კომიდუსი იშვილა
და კეისრადაც გამოაცხადა. მაგრამ მოტყუცდა, რადგან შეი-
ლობილი უნესრიგო ცხოვრებით ისე მოშლილი აღმოჩნდა, რომ
მამობილის სიკვდილამდე დაიღუპა.

ამის შემდეგ ადრიანემ ტიტე ავრელიუს ფულვიუს ანტო-
ნინუსი იშვილა და ის გამოაცხადა კეისრად. ამან გაუმართლა.
იმპერატორიც ლირსეული გამოდგა და შვილის (138-166).

გარდა იმისა, რომ მან სენატიც კი აიძულა „ღმერთად“ გა-
მოეცხადებინა თავისი მამობილი (და ამას სამხედრო ოპერა-
ციაც კი დასჭირდა), ადრიანეს რომში სპეციალური მავზოლე-
უმიც კი აუგო (დღევანდელი ნმიდა ანგელოსის ტაძარი) და იქ
გადაასვენა (ლ. სანიკიძე, რომის იმპერია, 1984, გვ. 90-91; Н. А.
Машкин. История древнего Рима. 1947. გვ. 448).

შვილობილიც ამას ქვია.

არავითარი მსგავსი ერთგულება არ გამოუჩინია ბაგრატ III-
ეს თავისი მამობილის დავით III კურაპალატისადმი. დაკრძალ-
ვაზე კი ჩაბრძანდა ოლთისს, მაგრამ შემდეგ გააკეთა თუ არა
რაიმე მისი უკვდავყოფისათვის, არაფერია ცნობილი.

ასე იწყებს სუმბატი იმ აბზაცს, რომელშიც იმიერ-ტაოს მოსულ ბასილ კეიისართან ქართველ მეფეთა შეხვედრას აღნერს: „და მივიდეს მის ნინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფე [და] მამა მისი [გურგენ]“. (სუმბატ დავითისძის ქრონიკა, 1949, გვ. 68).

ისტორიკოსი აქ მხოლოდ პატივთა მიცემაზე ამახვილებს ყურადღებას და არაფერს ამბობს მთავარზე, რისთვისაც ქართველი მეფენი ენვივნენ კეიისარს — დავით კურაპალატის მემკვიდრეობის მიღება.

საფიქრებელი იყო, რომ ამ ხარვეზს ასე თუ ისე მატიანე ქართლისას ავტორი შეავსებდა, მაგრამ მან არა თუ ეს არ გააქეთა, ეს ფაქტი (ბაგრატ და გურგენ მეფეთა მისვლა კეიისართან) სრულებით უგულებელყო.

ეს გარემოება შემდეგ ავტორებს უხერხულად მიუჩინევიათ და მატიანე ქართლისა სუმბატის ქრონიკის ცნობით შეუვსიათ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 278).

სუმბატი არაფერს ამბობს იმაზე, თავისი ინიციატივით ნარუდგნენ კეიისარს ქართველი მეფენი თუ თვით კეიისარმა აწვია ისინი.

უფრო აქ წვევაა სავარაუდო, როგორც ეს ანის-შირაკის მეფის (გაგიკ I) მაგალითზეა დადასტურებული (ა. აბდალაძე, ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში, 1988, გვ. 248).

თუკი კეიისარმა სომეხი მეფე მოიწვია, ქართველი მეფეები უფრო უნდა მოეწვია, რადგან მათი ინტერესების თავისთან შეჯერება იმ დროს აუცილებელი იყო. კეიისარი თავისი პოზიციის დათმობას არ აპირებდა, მაგრამ ბაგრატისა და გურგენის ინტერესებიც რომ გასათვალისწინებელი იყო, ესეც კარგად

იცოდა. თუმცა იმ ზომით მაინც ვერ გათვალა სიტუაცია, რომ კონფლიქტი აეცილებინა.

ეტყობა, ასევე მინვევით ეწვივნენ კეისარს ვასპურაკანის მეფები, ძმები გურგენ და სენექერიშ არნორუნებიც, არ ეახლა მხოლოდ ერთი ანის-შირაკის მეფე და ერთმაც — ვანანდის (კარის) მეფე აბას I-მა (990-1020) ბრძოლაც კი გაუმართა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღება უფრო გაგიკ 1-ის კეისართან არგამოცხადებაზეა გამახვილებული (ალ. აბდალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 248-249).

რაც შეეხება აბას I-ის ბრძოლით დახვედრას, ხოლო სხვათა გამოცხადების მიზეზებს, მათი საფუძვლიანი შესწავლა თითქმის არავის უცდია.

ქართველ მეფეთა მისვლა კეისართან უთუოდ სწორი გადანყვეტილება იყო. მათ კარგად იცოდნენ, რომ დავითის მემკვიდრეობიდან კეისარი ბევრს არაფერს დათმობდა, მაგრამ ასეთ სიძუნნეს თუ გამოიჩინდა, ამას, ეტყობა, ვერ წარმოიდგენდნენ.

ამ შეხვედრაზე, როგორც ჩანს, კეისარმა დავითის მემკვიდრეობაზე სიტყვის ჩამოგდება საჭიროდ არ მიიჩნია და ქართველ მეფეებს მხოლოდ ბიზანტიური ტიტულების ბოძება აქმარა და ისიც უკეთური მანერით (მამას უფრო დაბალი ჰატივი (მაგისტროსობა) უნყალობა, ხოლო შვილს — მაღალი (კურაპალატისა).

კეისარს, ეტყობა, იმედი ჰქონდა, რომ ეს გარემოება ქართველ მეფეთა დაპირისპირებას შეუწყობდა ხელს და ამით მათი ყურადღება დავითის მემკვიდრეობიდან ურთიერთქიშპზე გადავიდოდა, მაგრამ ისეთ გონიერ მოღვაწეთა პირობებში, როგორც გურგენი და ბაგრატ მეფენი იყვნენ, ამ მზაკვრობამ ვეღარ გასჭრა და მალე ქართველთა სამეფო მკეთრად დაუპირისპირდა ბიზანტიას... სად მოხდა ეს შეხვედრა, ამაზე არც სუმბატი ამბობს რასმე და არც სხვა წყარო.

თუ საერთო ვითარებას გავითვალისწინებთ, შეხვედრა თითქოს იმიერ-ტაოს გულში — ოლთისს უნდა შემდგარიყო, სადაც დავითის მამულების მემკვიდრე კეისარი დაბანავდა.

როდის იყო ეს?

უდავოა მხოლოდ ერთი რამ, ეს დავითის სიკედილის შემდეგ იყო. რაც შეეხება ამ აქტის თარიღს, როგორც უკეთ ითქვა, იგი საბოლოოდ ჯერ კიდევ არაა დადგენილი და 1000-1001 წლებს შორის მერყეობს.

„ბაზრატის ციხე“

ასე ინოდება ციხის ნანგრევები მდ. ბესლეთის მარცხენა სანაპიროზე.


ამ ძეგლს ყურადღება ჯერ კიდევ ვ. სიზოვმა მიაქცია XIX ს-ის 80-იან წლებში (მისი, Восточное побережье черного моря, Aph. арк., вип. II, M. 1899, გვ. 43)

„ბაგრატის ციხით“ განსაკუთრებით დაინტერესდა ნ. ბერძენიშვილი 1951 წელს, როდესაც იგი სპეციალური სამეცნიერო ექსპედიციით ეწვია ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს.

პირველ რიგში ისმება კითხვა: რომელი ბაგრატი უნდა ეყვალისხმოთ აქ — ბაგრატ I ლიხთიქითის მეფე (IX ს.), ბაგრატ III საქართველოს გამაერთიანებელი (978-1014), ბაგრატ IV (1027-1072) თუ სხვა ვინმე?

6. ბერძენიშვილი ნინასნარულად ამათგან უფრო მისაღებად IX საუკუნეში მოღვაწე ბაგრატ მეფეს ანიჭებდა იმ პირობით, თუ ციხის ნგაგებობა ამის საშუალებას მოგვცემდა“ (ნ. ბერძენიშვილი, აფხაზეთში (ექსპედიციის ხელმძღვანელის დღიურიდან (1951 წ.), საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 294).

6. ბერძენიშვილს იმ დროს ეს ნანგრევები უშუალოდ არ მოუხილავს. მის შესნავლას იგი შემდგომი ნლისათვის ითვალისწინებდა (იქვე).



განახორციელა თუ არა ეს განზრახვა მეცნიერმა არ ვიცით.

შემდგომი ხანის ვითარებიდან ყურადღებას იქცევს „საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები“ (1959 წ.) რომელშიც ბესლეთის სიძველეებიდან მხოლოდ ხიდი (ქვისა, XI-XII ს) და „განვითარებული შუა საუკუნეების“ ეკლესია იხსენიება (გვ. 140).

საინტერესოა, ამ კრებულის შემდგენელთ როგორ გამორჩათ ასეთი „ფრიად საინტერესო“ ძეგლი (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 294). თუმცა ამან არ უნდა გაგვაკვირვოს, რადგან ამ ნიგნში არა მარტო მნიშვნელოვანი ძეგლებია გამორჩენილი, არამედ დასახელებაშიც დიდი ხარვეზებია, დათარიღებაშიც და ა. შ.

ამავე ციხეს მოგვიანებით გაკვრით შეეხო თ. ბერაძეც. მოიხილა თუ არა ეს ძეგლი მან ადგილზე არ ვიცით, მაგრამ, ჩანს, ეჭვი ეპარება მისი სახელწოდების სისწორეში და ამას მოწმობს ამ ძეგლის „ე. ნ. ბაგრატის ციხე“-დ გამოცხადება (თ. ბერაძე, ვახუშტი ბაგრატიონი და საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, 1971, გვ. 65).

1967 წლიდან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში არაერთი საველე გასვლა განვითარებულეთ ჩვენც, მაგრამ ამ ნანგრევების ნახვა, სამწუხაროდ, დღემდე არ მოგვიხერხდა.

ასეთ ვითარებაში თითქოს უფრო უპრიანი იყო, რომ ამ ძეგლზე მსჯელობისაგან თავი შეგვეყავებინა, მაგრამ რატომ-დაც გვგონია, რომ ციხის სახელის მიმცემი მეფე თითქოს ბაგრატ III უნდა იყოს.

აქეთენ გვენევა ამ მეფის მშენებლობა ბედიაში, სადაც ბაგრატმა დიდად მნიშვნელოვანი ტაძარი ააგო.

ამ ფონზე უფრო გასაგებია მის მიერვე ბესლეთის ციხის აგება (სოხუმის ციხიდან 3 კმ-ზე).

სიტყვის მოთოვეა აქ ძალიან გაძნელდებოდა ძეგლის ნაშთები რომ მეცნიერულად იყოს მოხილული, მაგრამ, რადგან

ეს ჯერ კიდევ სამომავლო საქმედ რჩება, ამიტომ დროუბით შეიძლება მხოლოდ ამ უსახური შენიშვნით დავკმაყოფილდეთ, თუმცა ერთი მცირე შენიშვნა მაინც აუცილებელია.

თუ ეს ნანგრევები მართლაც ბაგრატ მესამეს უკავშირდება, მაშინ ის, თუ ადრეული ხანის არა, იმ უამისა მაინც უნდა იყოს, როდესაც ბედიის ტაძარი შენდებოდა (X-XI სს მიჯნაზე).

გარდატენის ფერისცვალება X-XI სს მიჯნა?

სოფელ გარდატენს (გორის რ-ნი) მრავალი სხვადასხვა დროის ძეგლი ან მისი ნანგრევებია მოღწეული. მათ მორის ჩვენს ყურადღებას იქცევს მნვანე (ან ფერისცვალებისა) საყდარი, რომელიც სოფლიდან 1 კმ-ზეა (აღმ-ით). (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 1990, გვ. 53).

ეს დარბაზული ეკლესია ნატეხი ქვებითაა ნაშენი და მოპირკეთებულია მომწვანო ტუფისა და ნატეხი ქვით (იქვე).

ეკლესია ჩვენამდე ძლიერ დაზიანებული სახითაა მოღწეული. სრულებით აღარაა შემონახული დას. კედელი და გადახურვა.

დაზიანებულია სამხრეთის კედელიც. აფსიდა ნახევარწრიულია (იქვე).

სხვა რაიმე ხელშესახებიცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ სწორედ ეს ეკლესია უნდა აეგო სწორედ ბაგრატ მესამეს. ერთადერთი, რაც ამაში გვაიმედებს, ეს ტაძრის აგების თარიღია (X-XII — იქვე).

პატრატის სახი ბედიაში ტაძრის სამხრეთის კედელზეა გა-
 მოსახული.

ამ ფრესკას რ. შერლინგი მხატვრობის პირველ ფე-
 ნას მიაკუთვნებს და XI საუკუნის დამდეგით ათარიღებს (Р. О.
 Шмерлинг, К вопросу датировке росписи храма Бедия, сообш.
 АНГССР, т. XVIII, №4, 1957, 510).

დათარიღება პალეოგრაფიულ მონაცემებს ემყარება
 და მისაღებად ითვლება (Л. А. Шервашидзе, Средневековая
 монументальная живопись в Абхазии, 1980, გვ. 34)

ქუთორმ მეფეს ხელში უჭირავს ტაძრის მოდელი, როგორც
 ეს საერთოდ იყო მიღებული იმ დროს.

ბაგრატის ამ პორტრეტიმა ჩვენამდე, სამწუხაროდ, დიდად
 და ზიანებული სახით მოაღწია. მეტნილად ის ზემო ნანილით
 არის შემონახული და ისიც ძალიან ფრაგმენტულად (იქვე). სა-
 ბედნიეროდ, ეს სინაკლულე არც ისე შეეხება მეფის პირის სა-
 ხეს და ამიტომაც ხერხდება მის თავისებურებათა გარჩევა.

დ. შერვაშიძე მეფის სახეს ასე აღნერს: „Лицо... несколько
 вытянуто, что еще больше усиливается удлиненной бородой,
 глаза большие, широко открытие, нос прямой, тонкий.“ (იქვე).

პორტრეტი მეფის სიდიადეს უსვამს ხაზს. ეს ჩანაფიქრი შემ-
 დეგი თავისებურებებით არის განხორციელებული: 1. ფიგურის
 სიდიდე, 2. ეონტურის ლაკონურობა და 3. ფიგურის პროპორცი-
 ულობა ფართოდ მომრგვალებული მხრებით (იქვე, გვ. 55).

ბაგრატ მესამის ფრესკაზე აშეარად მოჩანს გვიანდელი გა-
 ახლების კვალი, მაგრამ მეფის ჩაცმულობა მაინც პირველი სა-
 ხით არის შემონახული.

მეფის ტანსაცმელი, ისე როგორც გვირგვინი, მდიდრულად
 არის შემკული ოქროთი და მარგალიტით (იქვე).

ათონის მონასტრის ერთი ხელნაწერის ანდერძი ღმერთს „ბაგრატ აფხაზთა მეფისა და ქართველთა კურაპალატის“ დიდებას შესთხოვს იმის გამო, რომ მან „ინება აღნერა წმიდისა ამის წიგნისა წმიდათა მონამეთა ა. ცაგარელი, სვედენია, I, 1886, 83, ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1983, გვ. 125).“

იქვე მითითებულია თარიღიც: „ინდიქტიონსა მეფობისა გათისასა: კე“ (25). თუ ბაგრატის გამეფებას 978 წელს ვიგულისხმებთ, მაშინ მისი მეფობის 25 ინდიქტიონი 1002 წელზე მოვა.

ანდერძის შემდგენელი, ეტყობა, ბაგრატის გამეფებას, ცოტა ადრე (977 წ.) გულისხმობს, ამას მოწმობს დასაბამური სისტემით მისგანვე აქ შემოთავაზებული თარიღი უზ(607). 6607-5604=1003.

და ბოლოს ქორონიკონსაც მიუთითებს — სებ — 222-ს, რაც 1002-ს ($780+222=1002$) გვაძლევს.

ხცისი (ცვიმოვთის) საყდარი

1002-1608)

ხცისი გაღმამხრის (საციციანოს) სოფელია (ხაშურის რ-ნი). სოფელსა და მის მიდამოებში რამდენიმე ისტორიული ძეგლია მოღწეული, მათ შორის ყველაზე საინტერესო და ძველიცაა, ადგილ წვიმოეთის არსებული ნათლისმცემლის მშენერი ტაძარი, რომელიც XI საუკუნის დამდეგსაა აგებული.

როგორც მისი ერთი (აღმ. ფასადზე) სააღმშენებლო ნარნერა (ასომთავრული) გვამცნობს, მისი მშენებლობა განუხორციელებია გლახაკ ანანიას“ (მთავარეპისკოპოსი).



ნარწერაში მხოლოდ ტაძრის მშენებლობის დაწყებაზეა („ვინც შენებად“) გამახვილებული ყურადღება და მითითებულია მისი თარიღიც (ქორ. სკბ (222), რაც 1002 წელს შეესატყვისება.

თუ როდის დასრულდა ტაძრის მშენებლობა, ამაზე პირდაპირი ჩვენება არ მოგვეპოვება. არაპირდაპირ ცნობათაგან საინტერესოა ამავე ნარწერაში დადასტურებული ბაგრატ III ტიტულატურა — „ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე და კურაპალატი“ (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღნერილობა, 1990, გვ. 461).

„ქართველთა მეფე“ ბაგრატის ტიტულატურაში მამის (გურგენ მეფეთა მეფე) გარდაცვალების შემდეგ ჩნდება მხოლოდ.

თუ ამას გავითვალისწინებთ, ხცისის (წვიმეთის) ნათლის-მცემლის მშენებლობის დასრულების ქვემო ქრონოლოგიურ საზღვრად მივიღოთ 1008 წელი, როდესაც გურგენი აღესრულა. ზემო კი ამ წელსვე ან ახლო ხანებშია საძიებელი.

ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთის კედლის ერთი ასომთავ-
 რული წარწერა გვამცნობს: „ოდეს განმტკიცნა იატაკი, ქორონი-
 კონი იყო 223“.

იატაკის დაგება ისეთ მნიშვნელოვან ფაქტად მიუჩინევიათ,
 რომ ქორონიკონის დასმით და სპეციალური წარწერით აღუნიშ-
 ნავთ. ქორ. 223. თანამედროვე წელს სათვალავის 1003 წელს
 შეესატყვისება ($780+223=1003$).

რამდენი წელი გავიდა მშენებლობის დაწყებიდან, ვიდრე
 იატაკის „განმტკიცვნას“ მორჩებოდნენ, არ ვიცით, მაგრამ ასე-
 თი გრანდიოზული ტაძრის მშენებლობას რომ საკმაოდ დიდი
 დრო დასჭირდებოდა, ამას რა მიხვედრა უნდა. თუ ამას გავით-
 ვალისნინებთ, ბაგრატი ტაძრის მშენებლობას X ს-ის შუახანებ-
 ში მაინც უნდა შედგომოდა.

„აღებენა... წელითა...“

ბაგრატის ტაძრის აღმოსავლეთის სარკმლის წარწერა გვა-
 უნდებს: „აღებენა წმიდა... ესე საყდარი წელითა...“, მაგრამ ვისი
 წელითა ამის გარჩევა უკვე შეუძლებელი გამხდარა (ვ. ბერიძე,
 ძველი ქართული ხუროთმოძღვრები, 1956, გვ. 6, შენიშვნა 1).

ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ შეიძლება ბაგრატის
 ტაძრის ხუროთმოძღვრები იყვნენ ზაქარბერ თურმანიძე და
 ოქროპირი, რომლებიც ტაძრის სხვა წარწერებში იხსენიებიან
 (ვ. ჩაკვეტაძე, ძეგლი უქიმერიონზე, 1964, გვ. 17).

ვარაუდის უფლება, რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისს შეიძ-
 ლება ჰქონდეს, მაგრამ დასაბუთება ჭირდება. სხვა თუ არაფე-

რი ამ წარწერების პალეოგრაფიული ანალიზით ის მაინც უნდა დადგინდეს ეკუთვნიან თუ არა ისინი X-XI სს-თა მიჯნას. ასეთი ძიება კი დღემდე არავის ჩაუტარებია, მაგრამ უამისოდაც ჩანს, რომ ეს პირები ხუროთმოძღვრები არ არიან, რადგან ასეთებს „ნაელებ თვალსაჩინო ადგილებში“ კი არ გამოსახავდნენ, როგორც ეს ბაგრატის ტაძარშია (იქვე), არამედ „ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე“ ათავსებდნენ (ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 11). ამის ნიმუშად საკმარისია ოშეის ტაძრის მშენებელ გრიგოლისა და საფარის ხუროთმოძღვრის ფარეზასძის წარწერები დავასახელოთ (იქვე).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ წესს არა მარტო ძველად იცავდნენ, არამედ გვიანმუასაუკუნეებშიც არ ღალატობდნენ (სოფ. მცხეთა (ლეჩეუმს), ბარაკონი (რაჭას) და სხვა — იქვე).

ბაგრატის ტაძარი ორი ხუროთმოძღვრის ნახელავი ჩანს. ტაძრის ძირითადი ნანილი, რომელიც 103 წელს აკურთხა ბაგრატმა, პირველი ხუროთმოძღვრისაა, ხოლო გუმბათისა, რომელიც მოგვიანებით აშენდა, სხვა ყოფილა.

აღმოსავლეთ სარკმლის წარწერა თითქოს პირველ ხუროთმოძღვარის უნდა გულისხმობდეს.

„პოდ მეუზეო...“

1003

ასე იწყება ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ერთი ასომთავრული წარწერა, რომელიც ჩრდილო კედელზეა. წარწერა არქიტექტორმა ვახტანგ ცინცაძემ წაიკითხა:

„პოდ მეუზეო, მფლობელო ყოველთა სუფევათაო! უმეტესად ადიდე ძლიერი ბაგრატ კურაპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე, თანა მამით, დედით, დედოფლით და ძით მჰათით... ამინ“.

ნარწერა უთარილოა, მაგრამ მისი დაწერის დროს განსაზღვრაში თვით ეს ძეგლი გვეხმარება თავისი მდიდარი ჩვენებებით.

ამ ცნობების მიხედვით, ნარწერის დაწერის ქვემო ქრონილოგიური საზღვარიც ნათელია და ზემოც. ქვემოს ბაგრატის კურაპალატობა დებს, ხოლო ზემოს — გამაერთიანებელი მეფის, მამის გარდაცვალების ნელი. ეს უკანასკნელი დადგენილია — 1008 წელი. ასე არ ითქმის კურაპალატობის მიღებაზე. ცნობილია, რომ ეს მოხდა დავით კურაპალატის სიკვდილის ახლოხანებში, მაგრამ, თუ როდის გარდაიცვალა დავითი, ჯერჯერობით დადგენილი არ არის და მერყეობს 999 წელსა და 1001 წელს შუა. თითქოს უფრო სწორი უნდა იყოს სამხური ნეარობის 1000 წელი. თუ ეს ცნობა სწორია, მაშინ ბაგრატ მეფისათვისაც კურაპალატობაც 1000 წელს უნდა მიენიჭებინათ.

თუ ამას მივიღებთ, მაშინ ბაგრატის ტაძრის ჩვენთვის საინტერესო ნარწერის ქვემო ქრონილოგიური საზღვარიც 1000 წელი იქნება.

ამ ჩვენებებით, ნარწერა 1000-1008 წლებში შესრულებულად იგულისხმება, თუმცა ამ ქრონილოგიური ჩარჩოების დავიწროებაც არ არის შეუძლებელი. ამის საშუალებას იძლევა ნარწერის პალეოგრაფიულ თავისებურებაზე დაკვირვება.

ნარწერის ხელი ძალიან მიაგავს იქვე ახლოს მდებარე თარილიან ნარწერას, რომელიც ბაგრატის ტაძრის იატაკის „განმტკიცნას“ ეხება. ესაა ქორონიკონი 223, რაც თანამედროვე წელთათვალავის 1003 წელს შეესატყვისება.

ნარწერა მრავალ საყურადღებო ჩვენებას შეიცავს, მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობა მეფის დედაზე, რომლის ცხოვრების ბოლო წლებზე მნირი ცნობები მოგვეპოვება და ეს ჩვენება სულზე მისწრებაა სწორედ.

ასევე ითქმის მეფის „ძე“-ზეც. ნარწერის დაწერის უამს (1003) მხოლოდ ამ ერთი ძის ამარა ყოფილა მეფე და სხვა შეიღები ამის შემდეგ შესძენია.

„ამანვე (ბაგრატ III-მ) აკურთხა ეკლესია ქუთათისა“ — ნერს XI საუკუნის ისტორიების და იქვე შენიშნავს, რომ ეს იქმნა „განგვებითა დიდითა და მოუნვდომელითა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 281).

ქუთათის ტაძარი იმ ტიპის ხუროთმოძღვრების ძეგლია, როგორიც ოშეი, იმიერ ტაოს და ალავერდი-კახეთს. მაგრამ არც ერთის აგება ისეთი დიდი ზემოთ არ აღნიშნულა, როგორც ქუთათის ბაგრატის ტაძრის კურთხევისას გაიმართა.

ეს მართლაც უპრეცედენტო აქტი იყო რადგან ამ ზემოთ მხოლოდ ჩენილნი საქართველოსანი კი არ ესწრებოდნენ, არა-მედ უცხო სახელმწიფოთა დელეგაციებიც: შემოიკრიბნა მახლობელნი ყოველნი წელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელ-მოძღვარნი და ყოველთა მონასტერთა ნინამძღვარნი და ყოველ-ნი დიდებულნი ზემონი და ქვემონი, მამულისა და სამეფოს მისი-სა მყოფნი და სხუათა ყოველთა სახელმწიფოთანი“ (იქვე).

ამ ზემოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ყურადღება მხოლოდ ნ. ბერძენიშვილმა მიაქცია 1956 წელს, მეცნიერი განსა-კუთრებით უსვამს ხაზს ამ ზემოთ მონანილე „უცხო ხელმწიფეთა მოპატიუებას“ (საქართველოს ისტორია (მაკეტი), 1956, გვ. 147).

ეს ზემოთ, რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი ჯერვერობით, უპრეცედენტოა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ყოველ შემთხვევაში იმ ცნობების მიხედვით, რაც ჩვენამდე შემორჩა.

ძალიან საინტერესოა ამ ზემოთ მონანილეთა პერსონალია. და ეს არა უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო, არამედ ბაგრატ მეფის პოლიტიკური კათშირების ნარმოსაჩენად.

ზემოთ მონანილეთა ნუსხის შედგენაში დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ფაქტის თარიღს, რასაც არც მატიანე ქართლისას ავტორი აღნიშნავს და არც სხვა რომელიმე მომდევნო ავტორი.

ჩვენი აზრით, ეს ამბავი თითქოს იმ წელს უნდა მომხდარი ყო, როცა ტაძრის იატაკი დაიგო (ქრ. 223-1003 ნ.).



1. „მახლობელნი... ჭელმწიფენი“

1. მეფეთა მეფე გურგენი (994-1008)
2. მისი მეუღლე, ლიხთიერის მეფის გიორგი მეორის (921-957) ასული გურანდუხტი.
3. კახთა ქორეპისკოპოსი, კვირიკე II-ის ძე, დავით I (976-1008 ?).
4. მისი მეუღლე ჰერეთის მთავრის იშხანიერის (გარდ. 960 წლის ახლოს) ასული და ჰერეთის ტახტის მემკვიდრე დინარ დედოფალი.

3. „ყოველთა მონასტერთა წინამძღვარნი“

- ა. ქვეყნის შიგნით
ა) ქართლი

შიომღვიმის
ბოლნისის
რუისის
ურბნისის
ლარგვისის
იკორთის
კაბენის
ნილკანის
სამთავისის
ქვათახევის
ფიტარეთის
მძოვრეთის
მუხრანის
გორის
ტანძიის



ახალგორის
ბელოთის
დუშეთის
გრემისხევის

ბ. ლიხთიქითი

ბიჭვინტის
ანაკოფის
ცხუმის
დრანდის
მოქვის
ბედის
ცაიშის
ხობის
მარტვილის
ჯუმათის
შემოქმედის
ხინოს
აჭის
გურიის უდაბნოს

ერკეთის
 ფერსათის
 ვარციხის
 ქუთაისის

საზღვარგარეთს

კახეთის საქორეპისკოპოსოს ლავრებიდან:

გარეჯის
 ზედაზენის
 სამთავროს (მცხეთა)
 ნეკრესის
 იყალთოს
 ალავერდის
 მარტყოფის
 ნინოწმინდის
 ბოდბეს
 გრემის
 თელავის

ქართველთა სამეფოს ლავრებიდან:

1. ბანის ლავრის წინამძღვარი
2. პარხალის ლავრის წინამძღვარი
3. ოთხთა ეკლესიის ლავრის წინამძღვარი
4. იშხნის ლავრის წინამძღვარი
5. ტბეთის ლავრის წინამძღვარი
6. ანჩის ლავრის წინამძღვარი
7. ოპიზის ლავრის წინამძღვარი
8. შატბერდის ლავრის წინამძღვარი
9. ხანძთის ლავრის წინამძღვარი
10. მერეს ლავრის წინამძღვარი

პალესტინა

1. საბანმინდის წინამძღვარი
2. პალავრის
3. სინას
4. ჯევარის
5. გოლგოთის
6. კაპპათა
7. გეთსმანიის და მრავალი სხვა.

სირია

1. შავი მთის
2. რომან წმინდის
3. სიმონ წმინდის
4. კალიპოსის
5. კასტანას
6. ეზრას
7. ლერნემისხევის
8. თუალთა მონასტრის
9. ბარლანწმინდის

ბიზანტიია:

1. ოლიმპის
2. რომანას
3. ათონის
4. კონსტანტინეპოლის
5. ხორას
6. ტრიანდაფილივის
7. მანგანის
8. კვიპროსის
9. პეტრიწონის
10. პარხალის

11. ოთხთა ეკლესიის — იმიერ-ტაო
12. ოშეის
13. ხახულის

უცხ-ო ხელმნიფენი:

მოწვევული უნდა ყოფილიყვნენ:

1. 1. ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II (976-1025).

ჩამობრძანდა თუ არა, არ ვიცით (უფრო, ალბათ, არა).

2. კიევის რუსეთის მთავარი ვლადიმირი (980-1015)
3. ვანანდის (კარის) მეფე აბას I (990-1020)
4. ანის-შირაქის მეფე გაგიკ I (985-1031)
5. ვასპურაკანის მეფე
6. სივნიეთის მეფე
7. გუმარქ-dორაკერტის მეფე
8. ოვსთა მეფე
9. ტმუტარაკანის მთავარი

მეფე და მისი ოჯახი

ბაგრატ III

დედოფლალი

ტახტის მემკვიდრე გიორგი

მეფის მშობლები

მამა მეფეთ-მეფე გურგენი

დედა გურანდუხტი

„მოციქული კახეთის“
1008 წელი ან მის ახლოს

ბაგრატი სერიოზულად მოემზადა კახეთის ოპერაციისათვის, „ყოვლითა სპითა თვესითა“ (იგულისხმება ლიხთიქითის ლაშქარი) „გარდამოვიდა ქართლს“ და „ნარგზავნა მოციქული კახეთს“ (მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 278).

„ყოველი სპა“ აქ Lapsus Calamis უნდა იყოს, რადგან ასე რომ ყოფილიყო მაშინ დღიეს მდგარ მეფეს, როცა კახეთზე ლაშქრობის უამიდადგა, ლიხთიქითისა და შიდა ქართლის ლაშქრის სასწრაფო ნვევა აღარ დასჭირდებოდა (იქვე, გვ. 279).

ისტორიკოსი საჭიროდ არ თვლის დაასახელოს მოციქულის ვინაობა. და ეს იმიტომ, რომ მას ისეთი რანგის პოლიტიკურ მოლვანედ არ მიიჩნევს, რომელიც ასე შევიდოდა საქართველოს ისტორიის სასწავლო ნიგნძი.

რა თქმა უნდა, არსებითი მნიშვნელობა არ ექნებოდა იმას, თუ ვინ იყო ის ნარმომობით ლითხიქითელი თუ ქართლელი, მაგრამ, რადგან მას ქართლის ნართმეულ ციხეთა დაბრუნება უნდა მოეთხოვა კახეთის ქორეპისკოპოს დავითისათვის, უფრო უპრიანი იქნებოდა, ალბათ, რომ ქართლელი ყოფილიყო.

ულტიმატუმი ქართლის ციხეების დაბრუნებაზე მხოლოდ საბაბი იყო გათვალისწინებული ომისა და ისიც კარგად იყო გათვლილი, რომ კახეთი ამ ულტიმატუმს არ დააკმაყოფილებდა და და ომი გარდაუვალი იქნებოდა.

ასე რომ არ ყოფილიყო გაანგარიშებული, მაშინ ბაგრატი ლიხთიქითის ჯარებით არ გადმოვიდოდა ქართლს და კახეთს გასალაშქრებლად მზადყოფნით არ დაელოდებოდა მოციქულის დაბრუნებას.

თუ მატიანე ქართლისას ვერწმუნებით, დავით ქორეპისკოპოსს არა თუ უბრალოდ უთქვამს უარი ქართლის ციხეთა დაბრუნებაზე, არამედ ლირსეულ დახვედრაზე მზადყოფნაც

შემოუთველია: „უკეთუ ეძიებ ციხეთა, იყოს ჩვენს შორის დამ-ჯერებელი მელავი და ომი. ხოლო მე ნინა მოგეგები ქსანსა, ზედა“-ო (იქვე).

არ ვიცი ისტორიების თავისებური რედაქციით გადმოს-ცემს ქორეპისეკოპოსის შემონათვალს და არ ვიცი მართლა ასე თქვა მან, მაგრამ ერთი კია, რომ დავით ქორეპისეკოპოს-მა თავისი შემონათვალი ვერ აღასრულა და არა თუ ქსანზე ვერ შეეგება მონინააღმდეგეს, კახეთის დედაქალაქთანაც კი ვერავითარი ნინააღმდეგობა გაუწია და ბაგრატის ლაშქარიც თიანეთს ისე შევიდნენ, რომ ხმლის ერთი მოქნევაც არ დას-ჭირვებიათ.

„განუცყრა ბაზრატ“

1008 ნელს ან 1010

დავით ქორეპისეკოპოსის უკმერხ შემონათვალს გაუნანყუნე-ბია ბაგრატ მეფე, რომელიც იმ დროს ჯავახეთის გულს დღიეს მდგარა — „რამეთუ განაგებდა საქმეთა ტაოსა და ქართლისა-თა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 278).

„განაგებდა“ ტევადი სიტყვაა და ფართო გაგებით ქვეყნის მართვა-გამგეობას ნიშნავს, რომელშიც ახლა, ალბათ, უპირვე-ლესი ადგილი ექნებოდა განკუთვნილი კახეთზე ლაშქრობისათ-ვის ლაშქრის ნეევას.

ზემო ქვეყანაში ეს საქმე მას მოციქულის მოსვლამდე ჰქო-ნია ჩატარებული და „ზემო ლაშქარი“ შემოკრებილი (იქვე, გვ. 279), ხოლო ლიხთიერითისა და ქართლის (რესპ. შიდა ქართლის) სპათა გამოსაწვევად დღიერიდან „ნარგზავნა კაცი მოსნრაფედ“ (იქვე).

არც აქ ამ კაცის ვიანობას ასახელებს ისტორიები, მაგრამ ეს მას შემდეგ, რაც დიპლომატის გვარი არ გვამცნო, სამხედ-



რო უნდების მოხელის (მაღემსრბოლის) დასახელება დაღირავა გასაკვირი.

ლაშქრის სასწაულო წევევას იმ დროს ორი-სამი კვირა მა-ინც უნდა დასჭირებოდა, და ეს მით უმეტეს ლიხთიქითში.

და მეფეც დღივიდან კახეთისაკენ იმ ანგარიშით დაიძრა, რომ დასავლეთისა და შიდა ქართლის ლაშქარი მცხეთის ხიდ-თან შეხვედროდა.

დღივიდან მცხეთისაკენ მიმავლი გზა თრიალეთზე გადიოდა. ეს რეგიონი კარგახანია უკვე ბაგრატს ეკავა და აქ რამე ნინაალმდევობა არ შეხვედროდა.

დიდძალმა ლაშქარმა მოყიარა თავი მცხეთის ხიდთან (ზე-მო სპა, ლიხთიქითის სპა, შიდა ქართლის სპა).

დიდი ლაშქრის შეყრა ბაგრატს მამობილის პრაქტიკიდან ჰქონდა შეთვისებული.

ლაშქრის სიდიდე დიდ გავლენას ახდენდა მონინაალმდევებე-ზე და ასე თუ ისე აიძულებდა კორექტივები შეეტანა მის აღ-რინდელ გეგმაში. ასე მოხდა ამ დროსაც.

ქორეპისკოპოსს ამოდენა ლაშქრისათვის ნინაალმდევობის ძალა არ შესწევდა და იძულებული იყო ციხეებში გამაგრებუ-ლიყო.

ქორეპისკოპოსის ასეთი ტაქტიკა ხელს არ აძლევდა, რადგან ცალკეული ციხისათვის ბრძოლა მისთვის სასარგებლო არ იყო. მაგრამ ქვეყნის საფერისად ერთხანს მაინც უნდა მიეღო ეს ბრძო-ლა, ხოლო შემდეგ პერეთს გაელაშქრა, სადაც ასეთი ვითარება არ იყო და ამით გადაეფარა თავისი წარუმატებლობა კახეთს.

ისტორიკოსი აქ მეტად მოხერხებულად იქცევა. ის მხო-ლოდ იმას მიუთითებს, რომ მეფემ „იწყო ბრძოლად ციხეთა (იქვე), მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ამ ბრძოლის (ციხეთა ნინა-ალმდეგ) შედეგი გვამცნოს, სრულიად მოულოდნელად პერეთს მიღწეულ წარმატებას გვაჩერებს ხელში: „და მას უამსა აღიღო ქუეყანა პერეთისა“-ო (იქვე).

ვის მაგივრად დანიშნა ბაგრატმა ეს აბულალი და ვინ იყო ის თავად, ამაზე მატიანე ქართლისას ავტორი არაფერს ამბობს (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 279).

როგორც ა. ბოგვერაძე ფიქრობს, პერეთის მეფე იოანე — სენექერიმის შემდეგ პერეთის გამგებლად უნდა მიენვიათ მისი და დინარი), რომელიც კახთა ქორეპისეკოპოს დავითზე იყო გათხოვილი (ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 294).

ეს ფაქტი თითქოს მატიანე ქართლისას ავტორისთვისაც არ უნდა ყოფილიყო უცნობი, მაგრამ ის ამის აღნიშვნას საჭიროდ არ თვლის.


ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს მისი „მემკვიდრის“ აბულალის ვინაობის ასე თუ ისე ნარმოსაჩენად.

ბაგრატის მიერ პერეთში აბულალის ამაღლება პირველ-ყოვლისა ყურადღებას იქცევს სტატუსის თვალსაზრისით. გამაერთიანებელმა მეფემ ის მეფედ კი არ დასვა, როგორც ეს პერეთს იყო მიღებული, არამედ მთავრად დაადგინა (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 279).

აბულალს, ალბათ, მეფედ კურთხევა ერჩია, მაგრამ არც მთავრად დადგინებით უნდა ყოფილიყო უკმაყოფილო, რადგან, თუ არა ეს ვითარება და ბაგრატ მეფე, ვერც ამას ეღირსებოდა.

და მიანც ვინ უნდა ყოფილიყო ეს აბულალი? ეს საკითხი მხოლოდ ახლახან ნამოიჭრა. იგი ა. ბოგვერაძემ ნამოჭრა და რამდენიმე საინტერესო მოსაზრებაც გამოთქვა. მათ შორის განსაკუთრებით საგულისხმოა აბულალი პერეთის ბაგრატიონთა გვერდითი შტოსადმი მიკუთვნების ვარაუდი (ა. ბოგვერაძე დასახ. ნაშრ., გვ. 196).

ეს ვარაუდი ავტორმა უბრალოდ კი არ გამოთქვა, არა-მედ სცადა მისი ერთგვარი დასაბუთებაც. საინტერესო და საგულისხმოა მისი არგუმენტი: „სამეფო საგვარეულოს მიმართ



სრულიად უცხო ეაცს ბაგრატი დინარ დედოფალს, ალბათ, არ დაუპირისპირებდა” (იქვე).

არ არის გამორიცხული, რომ ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ აბულალის მთავრობა ჰერეთის ხალიფას ერთი საათის ზეობას დაემსგავსა. გამოვიდა თუ არა ბაგრატი ჰერეთიდან, ჰერებმა კახეთის ქორეპისკოპოსის მხარე დაიჭირეს და აბულალიც იძულებული იყო ჰერეთის მთავრობასაც საბოლოოდ გამოთხოვებოდა.

ყურადღებას იქცევს მატიანე ქართლისას ცნობა, რომელიც ამ ფაქტს ჰერ ფეოდალების ინიციატივად ეი არ მიიჩნევს, არამედ — „კაცთა ჰერეთისან“-თა (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 279).

„კაცნ ჰერეთისან“-ში ან. ბოგვერაძე ჰერეთის „მთელ მოსახლეობას“ გულისხმობს (ა. ბოგვერაძე, ბაგრატ III-ის მიერ ჰერეთისა და კახეთის შემოერთების ისტორიიდან, კრებული: ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, 1991, გვ. 190).

XI ს-ის ისტორიკოსს აქ ჰერეთის მოსახლეობის ქვედა ფენები ჰყავს მხედველობაში და არა ფეოდალური საზოგადოება, ამიტომ „კაცნ ჰერეთისანი“-ს ჰერეთის „მთელ მოსახლეობად“ გაგება ზუსტი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას ამჯერად არსებითი მიმღვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ ბაგრატის პოლიტიკამ ამ ეტაპზე არ გაამართლა.

ბაგრატი ამას, ალბათ, იმ თავითვე ითვალისწინებდა, მაგრამ იმ დროს უკეთესი გამოსავალი არ არსებობდა.

აშვარა იყო, რომ ჰერებში საკმაოდ ღრმად იჯდა პროეაზური ორიენტაცია, ვიდრე პროდასავლური.

ამ ტენდენციის აღმოფხვრისათვის აუცილებელი ჩანდა კახეთის დაპყრობა და საქორეპისკოპოსოს გაუქმება. როდესაც ეს საკითხი გადაწყდებოდა, ჰერთა პროეაზურ მიდრეეკილება-საც ნყალი დაუწყდებოდა.

„მიმღებალა“ დავით
1008 ნლის ბოლოს ან 1009 ნლის დამდეგს



დავით ქორეპისკოპოსი ბედნიერ მმართველად უნდა ჩაითვალოს, რადგან მას განგებამ ჰერეთის ჯავრი სამარეში არ ჩააყოლა. ჰერთა დაბალი ფენების მხარდაჭერით მან კელავ შეძლო ამ ქვეყნის კახეთთან დაბრუნება („აღილო დავით ჰერეთი“), მაგრამ ამის შემდეგ მალე („შემდგომად მცირედისა უამისა“) „მიმღებალა“ და არათუ მის მონაპოვარ ჰერეთს, არამედ მთელ კახეთსაც ძველ პოლიტიკურ სტატუსთან გამოთხოვების აუცილებლობის უამი დაუდგა.

დავით ქორეპისკოპოსის გარდაცვალების თარიღს მატიანე ქართლისას ავტორი არ მიუთითებს. მისი მონათხოვობიდან ისაა ნათელი მხოლოდ, რომ კახეთ-ჰერეთიდან ბაგრატის გასულის (1008) ახლო ხანში უნდა გარდაცვლილიყო თითქოს.

ვახუშტი დავითის სიკედილს 1010 წლით ათარიღებს (ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, 1973, გვ.). ეს დათარიღება გაზიარებულია (თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, 1970, გვ. 214). მაგრამ ის სწორი არ ჩანს,

„რა ხელმა ააზო“
1008-1009 ნლების მივნა

ბაგრატ მესამის სააღმშენებლო პათოსი რაჭასაც მინვდა და ააგო ნიკოლოზ ნმინდის ბრწყინვალე ტაძარი.

თუ როდის დაინტ და დამთავრდა ამ ტაძრის მშენებლობა დღემდე არაა საბოლოოდ დადგენილი. ამას აპირობებს ტაძრის სააღმშენებლო ნარნერის (მოთავსებული კარების თავზე ბარელიეფზე) უქორონიკონობა.

ამ ხარვეზს ნაწილობრივ ანელებს წარწერის შინაარსი, რომელიც ხაზი აქვს გასმული ტახტის მემკვიდრეს (გიორგი უფლისნულის) მცირენლოვანებას („ქსრ-სტე), ძეო ღვთისაო... გაზარდე ძე მათი გიორგი...“).

ეს გარემოება საფუძველს აძლევდა ს. ეკვაბაძეს. ეს წარწერა „1008 წლის ახლო“ დროით დაეთარიღებინა (ს. ეკვაბაძე, ნიკორწმინდის ისტორიული ძეგლის წარწერები, საისტორიო კრებული, IV, 1929, გვ. 102-103).

ამავე დათარიღებას მხარი დაუჭირა და ნიკორწმინდის სააღმშენებლო წარწერა (1008-1009 წლების მიჯნით) დააზუსტა შ. ბადრიძემ 1961 წელს (შ. ბადრიძე, მცირე შენიშვნები ნიკორწმინდის სააღმშენებლო წარწერაზე, მნათობი, 6, 1961, გვ. 181-183).

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ავტორი რატომდაც მაინც ამ წარწერის გ. ბოჭორიძისეულ დათარიღებას (1010-1014) აძლევს უპრატესობას და ნიკორწმინდის ტაძარს X ს-ის 10-იანი წლების პირველ ნახევარში აგებულ ძეგლად მიიჩნევს (ნ. ზაქარაია, ნიკორწმინდა, ქსე, 7, 1984, 435). რადგან, სანამ ბაგრატი კახეთის სრულად დაპყრობას ორ წელს მოუნდა (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 279) და შემდეგ ყველაფერი ეს 1010 წელს დასრულდა თითქოს.

ასე რომ, დავით ქორეპისკოპოსი 1008 წლის ბოლოს თუ არა, 1009 წლის დამდეგს მაინც უნდა გარდაცვლილიყო.

ჩვენი აზრით, ნიკორწმინდის მშენებლობა 1008 წლის მეორე ნახევარში ან 1009 წლის დამდეგს უნდა იყოს დასრულებული. გარდა გიორგი უფლისნულის მცირენლოვანებისა, ამასვე ადასტურებს ბაგრატ მესამის ტიტულატურაში „რანთა მეფის“ გაჩენა. მართალია, „რანთა მეფე“-დ იგი შემდეგაც შეიძლებოდა მოეხსენებინათ, როცა ხელმეორედ შემოირთა პერეთი (1009 წლის დამდეგს), მაგრამ აქ თითქოს უფრო პერეთის პირველი შემოერთება უნდა იგულისხმებოდეს. ანდა, ყოველ შემთხვევა-

ში, მეორე შემოერთებაც რომ ვიგარაუდოთ, ნარწერის თარიღი
მაინც არ შეიძლება გადასცდეს 1010 წელს, როდესაც ბაგრატ-
შა კახეთიც შემოიერთა. ნარწერის ამოკევეთისას რომ კახეთიც
შემოერთებული ყოფილიყო, მაშინ მეფის ტიტულატურაში „მე-
ფე კახთა“-ც იქნებოდა აღნიშნული.

და ეს ყველაფერი ნიკორწმინდის მშენებლობის ზემო ქრო-
ნოლოგიურ საზღვარს ეხება, რაც 1008 წლის მეორე ნახევარსა
და 1010 წელს შორის შეიძლება მერყეობდეს მხოლოდ.

რაც შეეხება ქვემო ქრონოლოგიურ საზღვარს, იგი საძიე-
ბელია, რის ამოსავალადაც ქუთათისის საყდრის მშენებლობის
დასრულება უნდა ჩაითვალოს!

ქუთათისის საყდრის მშენებლობის დასრულება 1003 წლის
ახლო ხანშია (1004 ან 1005 წელს მაინც) საგულვებელი. ამავე
პერიოდშია სავარაუდო სწორედ ნიკორწმინდის ტაძრის მშე-
ნებლობის დაწყებაც და მთელი იმ ძალების რაჭას გადასროლა,
რომელიც ქუთათისის საყდარს აშენებდა.

„რანთა მეფე“

1008 წლის მინურული ან 1009 წლის დამდეგი

ბაგრატ მესამის ტიტულატურაში ეს სიახლე პირველად ნი-
კორწმინდის სააღმშენებლო ნარწერაში ჩნდება: „ქ(რისტე), ძეო
ღვთისაო, ადიდე სიმართლე ბაგრატ აფხაზთა და რანთა მეფე
და ქართველთა კურაპალატი...“

ამ ნარწერის პირველი გამომცემელი მარი ბროსე ბოლომ-
დე ნათლად ვერ გაერკვა ამ მეფის ვინაობაში (გაპეარტის... 1851,
დ. 35-36).

არც ს. კაკაბაძის პირველი კონტაქტი იყო ნარმატებული
ამ ნარწერასთან. ეს იყო 1926 წელს, როდესაც მევლევარს მი-
აჩინდა, რომ „რანთა მეფე“ საქართველოს მეფის ტიტულატუ-

რაში ჩნდება არა ბაგრატ III ზეობის უამს, არამედ 1703 წლის
შემდგომ, როდესაც კახეთი შემოუერთდა გაერთიანებულ
ქვეყანას, (С. Какабадзе, Грамота Грузинского Царя Георгия III,
Известия КИАИ, IV, 1926, გვ. 123-124).

მოგვიანებით მკეთრევარმა აზრი შეიცვალა და ნიკორნმინ-
დის ნარნერაში დადასტურებული „რანთა მეფე“ კახეთ-ჰერე-
თის 1008-1010 წლების შემოერთებას დაუკავშირა (ს. კაკაბაძე,
ნიკორნმინდის ისტორიული ძეგლის ნარნერები, საისტორიო
კრებული, IV, 1929, გვ. 102-103).

რადგან ეს ნარნერა მან „1008 წლის ახლოს“ ამოქრილად
იგულისხმა, ცხადია, „რანთა მეფის“ გაჩენაც ბაგრატ III ტიტუ-
ლატურაშიც ამ დროიდან ივარაუდება (იქეე).

1930 წელს, იმავე საკითხს შეეხო გ. ბოჭორიძეც, მაგრამ
არ მიუთითებს ს. კაკაბაძის მოსაზრებებს და თვალსაჩინო შეც-
დომებსაც უშევებს: მისი არც ნარნერის დათარიღებაა („1010-
1014 წლების შემდგომი დრო“), და არც ამ ტერმინის რანის
„დაპყრობასთან“ დაკავშირება (გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიუ-
ლი ძეგლები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, V, 1930 გვ. 194).

1961 წელს ნიკორნმინდის სააღმშენებლო ნარნერის თა-
რიღის შემდგომი დაზუსტება სცადა შ. ბადრიძემ, რომელმაც
ს. კაკაბაძის შემოთავაზებული „1008 წლის ახლო“ უამი „1008-
1009 წლების მიჯნით“ დაზუსტა (შ. ბადრიძე, მცირე შენიშ-
ვნები ნიკორნმინდის სააღმშენებლო ნარნერაზე, მნათობი, 6,
1961, გვ. 181-183).

ეს თარიღი დღემდე არც ეისმე გადაუსინჯავს და არც
ჩეენ გაგვაჩნია ჯერჯერობით რაიმე საამისო არგუმენტი. ამ-
დენად შეიძლება მივიღოთ, რომ ბაგრატ მესამის ტიტულა-
ტურაში „რანთა მეფე“ ჩნდება სწორედ ამ დროს (1008 წლის
ბოლოს ან 1009 წლის დამდეგს), ჰერეთის შემოერთებასთან
დაკავშირებით.

საინტერესოა, რომ ბაგრატმა ახლა წინანდებურად პირველად კახეთზე კი არ მიიტანა იერიში, არამედ საქორეპისკოპოსოს შედარებით უფრო სუსტ ნაწილს ჰერეთს დაკრა და ნარმატებითაც.

XI საუკუნის ისტორიები აქ საქმეს ჩვეული ლაკონურობით ასე აღნირს: „აღილო მეორედ ჰერეთი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 279). ქვეყნის დაპყრობის შემდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შორის მეისტორიე მხოლოდ დინარ დედოფლის „თვალ“ დაჭერას უსვამს ხაზს (იქვე).

დინარ დედოფლის ვინაობა და გეღი


მატიანე ქართლისას ავტორი არც მის ვინაობაზე ამბობს რასმე და არც შემდგომ ბედზე (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 279).

ამის საჭიროება, ჩვენი აზრით, არათუ შემდგომი თაობები-სათვის იყო აუცილებელი, არამედ იმ დროისათვისაც კი, როდე-საც მატიანე ქართლისა იწერებოდა (XI ს-ნის მეორე ნახევარში).

საკუთარი სახელი დინარ პირველად ბაგრატიონთა კლარჯეთა შტოში ჩნდება. ასე იწოდებოდა აშოტ ბაგრატიონის უფროსი ძის (ადარნესე II) ვაჟის (გურგენ I კურაპალატის) უფროსი ძის (ადარნასე II — 896) ასული. შემდეგ ეს სახელი შერქმევია მის შვილიშვილს იშხანიკ ჰერთა მეფის ასულს.

ჰერეთის მეფე იშხანიკს, რომელიც დაახლ. 960 წელს გარდაცვლილა, ოთხი ვაჟი (იოანე, გრიგოლ, ადარნასე და ფილიპე) და ერთი ქალი (დინარი) დარჩენია.

მამის სიკვდილის შემდეგ ტახტზე უფროს ძეს იოვანე სენექერიმს დაუჭერია (თ. პაპუაშვილი, დასახ. ნამრ., გვ. 212).



იოანე-სენექერიმის წარმატებულ მოღვაწეობაზე და ჰერეთის სამეფოს იმ საზღვრებში აღდგენაზე, რაც მისი დიდი წინაპრის გრიგოლ ჰამამის უამს (დაახლ. 886 წ.) იყო, საინტერესოდ გვესაუბრება აღბანეთის სამეფოს ისტორიკოსი მოსე კალანკატუეცი (იოანე-სენექერიმის თანამედროვე).

მოსეს „აღბანეთის ისტორია“, რომელშიც ასე ძვირფასი ცნობებია ჰერეთის სამეფო დინასტიის ამ წარმომადგენელზე, 999 წელს აღარ სცილდება და ამის შემდეგ არც ჰერეთზე გვაქვს ერთხანს რაიმე ცნობა და არც მის სამეფო დინასტიაზე.


კერვერობით არც ისაა ცნობილი, თუ რა ვითარებაში გარდაიცვალა იოანე-სენექერიმი, დარჩა თუ არა მემკვიდრე და რა ბედი ენია მას ან რა სიტუაციაში მოხდა ჰერეთში იოანე მეფის დის, დინარ კახეთის დედოფლის მიწვევა და ამ ქვეყნის კახეთთან გაერთიანება.

როდის მისთხოვდა იშხანიეს ასული დინარი დავით კახთა ქორეპისკოპოსს, არ ვიცით, მაგრამ ეს აქტი X ს-ნის 20-იანი წლების დამდეგის შემდეგ თითქოს არც არის საგულისხმებელი, რადგან უფლისნული ამის შემდეგ საქორნინო ასაკს გადაცილებულად უნდა მივიჩნიოთ. და ეს იმ ნიშნით, რომ ის მამის გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე მაინც უნდა ყოფილიყო დაბადებული. თუ ამას ვიგულისხმებთ, მაშინ ის გასათხოვარი ათიან წლების შუახანებშიც კი იქნებოდა.

ასეა თუ ისე, როგორც ამ უკანასკნელ დროს ან. ბოგვერაძემ გაარკვია, რომ დინარ დედოფალი კახთა ქორეპისკოპოსის დავითის მეუღლე და მისი მემკვიდრის კვირიკეს დედა ყოფილა (ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 194).

როგორც ფიქრობენ, იოანე სენექერიმის სიკვდილის შემდეგ დინარ დედოფალი გამხდარა ჰერეთის გამგებლად და დიდი გავლენაც ჰქონია ქვეყანაში.

ამას ნათლად მონმობს ის, რომ ჰერების უმრავლესობა უარს აცხადებს 1008 წელს ბაგრატის ნებით იქ დადგენილ



მთავრის აბულალისადმი მორჩილებაზე და ისევ კახეთთან განერთიანებისათვის იბრძეის და ახერხებს კიდეც.

ამ სიავის საიდუმლოს კარგად ჩანცდა ბაგრატ III და დინარ დედოფალის დატყვევებით მოხერხებულად გადაწყვიტა იგი (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 279).

სად უნდა შეეპყრო დედოფალი ბაგრატს?

ა.ბოგვერაძემ ამ კითხვაზეც სცადა პასუხის გაცემა და საკმაოდ გონიერამახვილურადაც: დედოფალი ჰერეთს უნდა შეეპყროთ, სადაც „დაქვრივების შემდეგ“ იმყოფებოდა (ან. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 196).

შეეპყრობილი დედოფლის შემდგომი ბედის შეცნობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მატიანე ქართლისას აუტორის ცნობას ბაგრატისაგან ქორეპისკოპოსის ქვრივის „თვალ“ დაჭერის შესახებ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 279).

„თვალ“ დაჭერა აქ იმასვე უნდა ნიშნავდეს, რასაც ნიშნავს ის, რაც ისტორიკოსს დატყვევებულ კახთა მეფე კვირიკეზე აქვს ნათქვამი: „დაიჭირა თვალსა კარსა ზედა“ (იქვე).

თუ ამას მივიღებთ, მაშინ გამოდის, რომ დინარ დედოფალი, რომელიც საქართველოს გამაერთიანებელ მეფეს შორეულ ნათესავად მოხვდებოდა, ქუთაისს გაუგზავნია, ისევე როგორც მოგვიანებით მისივე შვილი, კვირიკე მეფე.

როგორ შეეგუა ტყვეობას დინარ დედოფალი არ ვიცით. არც ის ვიცით ქუთაისშივე აღესრულა თუ მოესწრო ბაგრატის სიკვდილს და ტყვეობიდან თავის დახსნას.

„ინყო ძებნად კახეთისა“

ჰერეთის საკითხის მონესრიგების შემდეგ ბაგრატ კახეთის დაპყრობას შეუდგა ანუ როგორც ისტორიკოსი ბრძანებს: „ინყო ძებნად კახეთისა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 279).

XI ს-ის ისტორიების ძალიან ლაკონურად გვამცნობს „კაზე-თ-
თისათვის ბაგრატ მეფის ბრძოლას, მაგრამ აქედანაც საკმაოდ
ნათლად ჩანს, თუ რაოდენ ძნელი ომი გადაუხდია მას იქ. განა
ხუმრობა საქმე იყო „ძალითა მისითა მიუწვდომელითა“ მეფეს
ამ ქვეყანაში „ორ ნელს“ ებრძოლა და ამდენი დრო და ენერგია
მოენდომებია კახეთის ციხეთა აღებისათვის (იქვე).

განსაკუთრებით დიდი ნინააღმდეგობა ბაგრატ მეფისათ-
ვის ბოჭორმის ციხეს შეუგებებია, სადაც კახთა მეუე კუირიკე
იყო შეფარებული (იქვე).

თუ რა იერიშები მიჰქონდათ ბოჭორმაზე ბაგრატის ჯა-
რებს, ამაზე მატიანე ქართლისას ავტორი დუმს, მაგრამ მისი
ცნობიდან, რომელიც ამ ციხესთან მთელი ნლის განმავლობაში
საქართველოს გამაერთიანებელი მეფისაგან დაყენებულ მცვე-
ლებზეა საუბარი, ცხადია, რომ, სანამ ასეთი ხანგრძლივი ალ-
ყის გადაწყვეტილებას მიიღებდა რამდენჯერმე მაინც უნდა გა-
ნეხორციელებინა მეტ-ნაკლებად ძლიერი იერიში...

და როცა მეფე ასეთი იერიშების უეფექტობაში დარწმუნდე-
ბოდა, მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებოდა ასე ხანგრძლივ ალყას.

და ეს მხოლოდ იმის ეშით, რომ ბოჭორმაში კახთა მე-
ფე იმყოფებოდა, რომლის შეპყრობას უდიდესი მნიშვნელობა
ჰქონდა კახეთის სამეფოს ბედის გადასაწყვეტად.

თუ მატიანე ქართლისას ავტორს ვენდობით, ბაგრატს კა-
ხეთში ორი ნლის ბრძოლის შედეგად არც ერთი ციხე არ დარ-
ჩენია აუღებელი („ნარიხუანა ყოველნი ციხენი კახეთისანი“ იქ-
ვე), მაგრამ ბოჭორმას, რომელმაც ასე გაუჭირვა საქმე უთუოდ
დატოვებდა აუღებლად კვირიკე მეფე რომ იქ არ გულვებოდა,
მაგრამ, რადგან ასე იყო საქმე, ამიტომ მისგან ალყის მოხსნა
და მიტოვება შეუძლებელი იყო და მეფეც ბოჭორმის გაძლებას
დაელოდა. მართალია, ლოდინი საკმაოდ ხანგრძლივი (მთელი
ნელი) გამოდგა, მაგრამ მეტხანსაც რომ გაგრძელებულიყო, მე-
ფე ამ ციხეს მაინც ვერ მოეშვებოდა.

ბოლოს და ბოლოს, ეს ციხეც გასტეხა მეფემ, აიღო იგი და კვირიკე მეფეც ხელთ იგდო.

ეს დიდი გამარჯვება იყო, რადგან კახეთის საკითხის საიმედო გადაწყვეტის ერთადერთ გზად იმ დროს ეს იყო.

შეპყრობილი კახთა მეფე „ნამოიყვანა“ ბაგრატმა და „დაიჭირა თვესა კარსა ზედა“ (ე. ი. ქუთაისს) იქვე, ასე გადაჭრა ბაგრატ მეფემ კახეთისა და ჰერეთის საკითხი და შეიყვანა ისინი ერთიან ქართულ მონარქიაში.

ბაგრატ მეფეს არ შეიძლება არ სცოდნოდა თუ რა ძლიერი იყო კახეთსა და ჰერეთს პარტიკულარიზმი და რომ მომავალში ისე შეიძლებოდა ნამოეყო თავი, როგორც ეს ჰერეთის პირველი შემოერთების შემდეგ მოხდა. მაგრამ პირადად მას ეს, ეტყობა, არ აშინებდა, რადგან კარგად იყო დარწმუნებული თავის ძალებში და შუა ასაკში მყოფი მეფე ჯერ კიდევ სიკედილს არ ელოდა. რა თქმა უნდა, ბაგრატი იმ ვითარებას ვერ გაითვალისწინებდა, რაც მისი უეცარი სიკედილის შემდეგ უნდა შექმნილიყო. აბა რას ნარმოიდგენდა, თუ ამდენი სისხლითა და დავიდარაბით შემოერთებული კახეთი და ჰერეთი ისევ განკერძოების გზას დაადგებოდნენ და დავით აღმაშენებლამდე ვერავინ შეძლებდა ერთიანი ქართული მონარქიის წიაღში მათ დაბრუნებას.

არ ვიცით რა პირობებში ამყოფებდნენ კახეთის ტყვე და დოფალყოფილსა და მის ძეს, კახთა მეფედყოფილ კვირიკეს. ბაგრატი ძალიან მეაცრი მეფე იყო, რაც აშეარა გახადა „კლარჯ ხელმწიფეთა“ შეპყრობამ და თმოგვის ციხეში გამოკეტვამ.

უნდა ვიციქოროთ, რომ მეფე ასე მეაცრად თითქოს არ უნდა მოეიდებოდა კახ და ჰერ ტყვეებს, თორემ კახეთის მეფეთყოფილი კვირიკე ბაგრატის სიკედილის შემდეგ ვეღარ დაბრუნდებოდა კახეთში. ასევე უნდა ითქვას თითქოს კვირიკეს დედის დინარ დედოფალყოფილის შესახებაც. თითქოს დედოფალყოფილიც უნდა გადარჩენილიყო, ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ ისიც უნდა დაბრუნებულიყო შინ.



ამის საფუძველს სუმბატ დავითის ძის ის ჩვენებაც იძლევა, რომელშიც გიორგი პირველის გამეფების შემდეგ კახეთ-კერეთში შექმნილ ვითარებას ასახავს: „განუდგა ამას ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა და... კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი...“ (სუმბატ დავითისძის ქრონიკა, 1941, გვ. 69).

ამ „უფალთა“ ორის დინარ დედოფალსაც გულისხმობდნენ (ან. მოგვერაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 197).

დარბაზობა ფანასკერტს

1010

ბაგრატ III ერთი მამიდა ჰყავდა — კლარჯთა პატრონის ბაგრატ II („არტანუჯელი“) მეუღლედ სუმბატი, ქრონიკა, 1949, გვ. 68).

მამიდას ორი ვაჟი ესვა: უფროსს პაპის სახელი (სუმბატ) ერქვა, ხოლო უმცროსს — ბიძის (გურგენ) — დედის ძმისა.

პირმშო ძისათვის მამის მამის სახელის შერქმევა მიღებული იყო და ეს აქტიც რაიმე შენიშვნას არ იწვევს. გასაკეირია მხოლოდ მომდევნო ძისათვის ბიძის სახელის დარქმევა. სადაც სამართალია მისთვისაც პაპის სახელიუნდა ეწოდებინათ, ოღონდ უკვე დედის მხრიდან. ასე რომ მოქცეულიყვნენ, მაშინ მამასაც და შვილსაც ერთნაირი საკუთარი სახელები გამოუვიდოდათ. ეტყობა, ამას მოერიდნენ.

ასეთ შემთხვევაში უფრო ბუნებრივი იქნებოდა ამ ვაჟისათვის დედის უფროსი ძმის სახელი დაერქვათ, მაგრამ აქაც წინააღმდეგობას წაანუდნენ, რადგან მას სუმბატი ერქვა და ასეთი სახელი უკვე ერქვა ბაგრატ II არტანუჯელის უფროს ძეს. ასეთ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი მომდევნო ბიძის (გურგენის) სახელის შერქმევაში იყო და ასეც მოქცეულან.

ყმანვილობაში ბაგრატს მამიდაშვილებთან ცუდი დამოკიდებულება არ უნდა ჰქონოდა. აბა იმ დროს რა ჰქონდა მათთან გასაყოფი. მაგრამ შემდეგ, როცა მეცე გახდა და მტკიცედ და-ადგა საქართველოს გაერთიანების გზას, მათი მოცილება მისი პოლიტიკის აუცილებელ საკითხთა რიგში მოექცა და ბაგრატ-მაც თავისებური ხერხით განახორციელა ეს.

მეცემ მამიდაშვილები სადარბაზოდ მიინვია ფანასკერტის ციხეს (სუმბატი, ქრონიკა, გვ. 68) და ისინიც ეწვიონ უკვე ფართოდ სახელგანსმენილ ბიძაშვილს. როცა ისინი არტანუჯიდან ფანასკერტისკენ მიემგზავრებოდნენ, შეპყრობას კი არა, ალბათ ბიძაშვილთან სასიამოვნო შეხვედრას ელოდნენ, მაგრამ ამაოდ. მასპინძელმა სტუმრად წვეული ნათესავები „შეიძყრნა“ და თმოგვის ციხეში მიუჩინა საპატიმროდ (იქვე).

საამისო თარიღს სუმბატი არ მიუთითებს ან იგი არც სხეა წყაროს დაუცავს. ასეთ ვითარებაში არაპირდაპირი ცნობებით უნდა ვეცადოთ ხარვეზის შევსება.

რადგან ეს აქტი უშუალოდ მოსდევს გურგენ მეფეთ-მეფის გარდაცველებას (1008 წ.), მის ახლო ხანებში უნდა ვიგულისხმოთ.

ეს საქმე ბაგრატს ადრე უნდა ჰქონოდა ჩაფიქრებული, მაგრამ მამის სიცოცხლეში მის განხორციელებას მოერიდა. გურგენ მეფეთ-მეფე მუდამ შვილის ერთგულებას იჩენდა და მისი საიმედო მოკავშირეც იყო, მაგრამ დისნულების ხელყოფისას თუ დიდ წინააღმდეგობას არ გაუწევდა, ნაწყენი მაინც დარჩებოდა, ალბათ. ეს კი ბაგრატს არ ეწადა და ამიტომ გადადო ეს საკითხი მამის სიკვდილამდე.

„ელარჯთა ხელმწიფეთა“ შეპყრობისთანავე ბაგრატს მოუშლია მათი მფლობელობა და უშუალოდ დაუჭერია მათი „ქვეყანანი და ციხენი“ (იქვე, გვ. 68).

საინტერესო იყო ამ „ქვეყნებისა“ და „ციხეების“ ადგილ-სამყოფელთა დადგენა, მაგრამ ეს საკითხი დღემდე არავის უკვლევია.

მეფეს მარტოოდენ მამიდაშვილების შეპურობა არ უკმარია და მათ ნაშიერებსაც დარევია. გაუსწრია მხოლოდ ორს სუმბატის ძეს ბაგრატს და გურგენის ძეს — დემეტრეს (ისინი ბიზანტიის გაქცეულან და ბასილ კეიისართან უპოვნიათ თავშესაფარი), ყველა დანარჩენი კი, „რომელ დაშთეს ამათ ქვეყანასა, მოისწონეს... სიკუდილითა პატიმრობასა შინა“ (იქვე, გვ. 69).

მათ სახელებს ან სიკვდილის თარიღს ისტორიულია არ ასახელებს. პატიმრობაში მკვდართა შორის მას მხოლოდ სუმბატ კლარჯისა და მისი ძმის გარდაცვალების თარიღები აქვს მითითებული. პირველი 1011 წელს დაღუპულა თმოგვის ციხეში, ხოლო მეორე — 1012 წელს (იქვე, გვ. 68).

ამის შემდეგ ბაგრატიც მაღალ აღესრულა, მაგრამ მემკვიდრეს დაუტოვა ეს საქმე მოწესრიგებული.

საქართველოს ისტორიას აქამდე არასოდეს ენახა ასეთი რამ. ძნელი სათქმელია ვისმე დაესესხა აქ ბაგრატ მეფე თუ ეს მისი ორიგინალობა იყო.

აქვე გასახსენებელია ისიც, რომ პოლიტიკაში დარბაზობის შემოტანა ჩვენში ამით არ დამთავრებულა. ის კიდევ უფრო ეცემტურად გამოიყენა გიორგი ბრნენვალემ (1314-1346) თავისი შინაური პოლიტიკური მონინააღმდეგების შესამუსრად (ქართლის ცხოვრება, II, 1959).

ამ აქტზე მხოლოდ სუმბატი გვესაუბრება და ისიც თარიღის მითითების გარეშე.

რადგან „კლარჯ ხელმნიფებათა“ შეპურობაზე საუბარი გურგენ მეფეთა მეფის გარდაცვალებას (1008) მოსდევს, აშეარაა მხოლოდ ის, რომ ეს ამბავი მეფის გარდაცვალების შემდეგ არის საგულვებელი.

ეს ამ მოვლენის ქვემო ქრონოლოგიურ საზღვრად შეიძლება მივიჩნიოთ, ხოლო ზემოთ — საძიებელია. მაგრამ, რადგან თარიღის გარკვევით დადგენა არ ხერხდება ზოგიერთმა ისტო-



რიკოსმა თავი შეიკავა ამ თარიღის მითითებაზე (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1983, გვ. 131-132).

6. ბერძნიშვილმა ეს აქტი 1010 წელს იგულსხმა და „კახეთ-შერეთის საქმეთა მოგვარების შემდეგ“ განხორციელებულ ფაქტად მიიჩნია (საქართველოს ისტორია, I, 1956 (მაკეტი), გვ. 135).

ეს თარიღი გაზიარებულია (ვ. შუბითიძე, საქართველოს დიდი მეცნიერი, 1991, გვ. 24).

სეიტიცხოვლის საყდრის ფუძის ჩაყრა 1010

ბაგრატის დროსევე ჩაეყარა საფუძველი გაერთიანებული საქართველოს უმთავრეს სარწმუნოებრივ ცენტრს მცხეთის სვეტიცხოვლის ახალი ტაძრის მშენებლობასაც.

ეს იყო 1010 წელს, როცა ქუთაისის ბაგრატის ტაძარი და ნიკორნიმინდა დამთავრებული იყო და ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების სკოლას უკვე უდიდესი გამოცდილება პქონდა დაგროვილი.

მცხეთის სვეტიცხოვლის საძირკვლის ჩაყრა მელქისედეგ კათალიკოსმა (1010-1030) აკურთხა და უშუალოდ ის ხელ-მძღვანელობდა მის მშენებლობას, მაგრამ მეფის დასტურის გარეშე ასეთი ტაძრის მშენებლობა შეუძლებელი იყო.

სვეტიცხოველმა თავის განვითარებაში სამი ეტაპი გაიარა. პირველი ეს წმ. ნინოს ეკლესია იყო (IV ს.). მეორე — ვახტანგ გორგასალის ქვის ბაზილიკა (V ს.) და ბოლოს ბაგრატ III დროს საფუძველჩაყრილი უზარმაზარი ტაძარი 1010-1029).

XI ს-ის ქართველი ისტორიკოსები რატომდაც არაფერს ამ-ბობენ ამ ტაძართან ბაგრატ მესამის დამოკიდებულებაზე. და ეს მაშინ როდესაც მატიანე ქართლისას ავტორი საგანგებოდ ჩერდება ბედისა და ქუთათის ტაძრების აშენებაზე (ქართლის

ცხოვრება, I, გვ. 281). მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სვეტიცხოვლის, ნიკორნმინდის, ხცისის თუ სხვა ტაძრების მშენებლობას ყურადღებას არ აქცევდა და მის გარეშე მიმდინარეობდა სამშენებლო საქმიანობა.

ხუროთმოძღვარს, არსუეიძეს, როცა ის სვეტიცხოვლის შენებას შეუდგა, არ შეიძლება ყურადღება ქუთათის ტაძრისევნ არ ჰქონოდა მიქცეული და მისგან განსხვავებული ძეგლის შექმნა არ ეცადა.

ლ. სანიკიძე ხალხში გავრცელებულ ხმაზე მიუთითებს იმ შეჯიბრის თაობაზე, რაც ამ ორ ძეგლს შორის უნდა გამართულყო იმ დროს, ისე, როგორც ერთ დროს კონსტანტინოპოლის ან სოფია ეჯიბრებოდა იერუსალიმის სოლომონის ტაძარს (ლ. სანიკიძე, გიორგი ათონელი, ცისკარი, 4, 1986, გვ. 76).

ლაშქრობა რანს

1011-1012

რანი ან არარანი ადრეფეოდალურ ხანაში მთელ აღმ. ამინერკავკასია, მტკვრის ორივე სანაპიროს მოიცავდა. ეს ძეელი ალბანეთი გახლდათ, რომლის ცენტრიც მარცხენა სანაპიროზე იყო. ირანის სასანიანებმა ქვეყნის ცენტრი მარჯვენა სანაპიროზე დაამკვიდრეს და სახელწოდებაც არანი ამ მხარეს (მარჯვენა) აღსანიშნავად შემოდის (VII-VIII სს.) მაგრამ შემდეგ მდგომარეობა იცვლება, რადგან არაბები მოდიან და ისინი არანის ასეთ დავინროებულ გეგმას ვერ ეთავსებიან და ამ სახელწოდებას ისევ მთელ ალბანეთზე (ორივე სანაპიროზე) ავრცელებენ.

ეს ნათლად ჩანს X ს-ის არაბ გეოგრაფის ისთახრის განმარტებიდან: დერბენდიდან თბილისამდე და მდ. არაქსამდე (თ. პაპუაშვილი, დასახ. ნაშრ, გვ. 219).

საინტერესოა არაბი იბ-ნჰაუკალი აქამდე სრულიად უცხო ტერმინს („ორივე (ნაპირის) არანი“) კი ხმარობს (იქვე).

ეს ცნობა 972 წლისაა, როცა ბაგრატი ჯერ კიდევ არ იყო ლიხთიერითის მეფე.

არანი ასეთივე გაგებით დარჩა მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე.

შემდეგში კი მდგომარეობა შეიცვალა და არანი მხოლოდ მტკურის მარჯვენა სანაპიროს დაუმკვიდრდა სახელად, მარჯვენა სანაპიროსათვის კი შიგვანი შემოვიდა (იქვე):

ქართული ტრადიციით არანი (არრანი) ეს ბარდოსის თარგამოსის ერთ-ერთი ძის წილხვდომილი ქვეყანაა (.... მტკუარის სამხრით, ბერდუჯის მდინარითგან ვიდრე სადა შეიკრიბებიან მტკუარი და რაჭისი“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 5). ამ ტრადიციამი ნათლად იგრძნობა ის დრო (XI ს-ის მეორე ნახევარი), როდესაც ლეონტი მროველი ცხოვრობდა და თავისი ეპოქის კვალობაზე თავისებური ისტორიულ-გეოგრაფიულ განმარტებებს იძლეოდა.

მაგრამ ეს ამჯერად ჩვენთვის საინტერესო ეპოქის შედებობი ხანის ვითარებას ასახავს და არა ბაგრატ მესამის დროინდელს, როცა რანს (არანს) ჯერ კიდევ ის გაგება პქონდა შენარჩუნებული, რაც ხალიფატის შემოსვლის (VIII ს.) შემდეგ მიეცა (მთელი აღმ. ამიერ-კავკასია, მტკურის ორივე ნაპირის ალბანეთი), თუმცა ასე როდი ესმის რანი XI ს-ის მეორე ნახევრის ისტორიკოსს მატიანე ქართლისას ავტორს, რომელიც ბაგრატ მესამის რანში ლაშქრობის ერთ-ერთი უმთავრესი ნებართვა. მისთვის რანი მტკურის მხოლოდ მარჯვენა სანაპირზე მდებარე ქვეყანაა (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 280).

არნახულ აღმშენებლობაში ჩაბმული ბაგრატ მესამისათვის პერეთსა და კახეთის შემოერთებასაც უნდა მიეცა ერთგვარი სახსარი, მაგრამ ეს ოპერაცია (მეტადრე კახეთისა) ხანგრძლივი (ორ წლამდე) გამოდგა და მის დიდ ნაწილს უდა-

ვოდ ეს განიადაგებული ომი ნთქავდა. თუ რამ კი გადაურჩა, ამას, ალბათ, ნიკორნმინდის გადახურვასა და სხვა სამუშაოებს მოხმარდა.

სახსრები მას „ქლარჯ ხელმწიფეთა“ სამფლობელოების დაუფლებითაც არ უნდა მოეპოვებინა მცირედ, მაგრამ ნინ-სვლის გზაზე გიგანტური ნაბიჯებით მიმავალი ქეყნის დიდი სტომაქის ამოვსება მაინც მეფის ყოველდღიურ საზრუნავად იყო ქცეული.

ასე მიადგა ბაგრატ მეფე რანის თავაშებული პატრონის განძის ათაბაგ ფადლონ I-ზე (985-1031) გალაშქრების აუცი-ლებლობის საკითხს.

საამისო ტაროსი სწორედ ახლა დამდგარიყო. რანის მო-საზღვრე ჰერეთსა თუ კახეთს ბაგრატის ოპოზიციური ძალები უკვე საკმაოდ დალახვრულნი იყვნენ და მათ ამჯერად რანე-ლი წალდონისათვის მხარის მიცემის ძალა არ შესწევდათ. მაგ-რამ ეს მხოლოდ ბაგრატის ნარმატებული შეტევის ვითარებაში, თორემ მეფის მცირე ნარუმატებლობაც საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ სეპარატისტებს ძალები მოეკრიბათ და მახვი-ლი ჩაეცათ ზურგში.

ამას, უეჭველად, კარგად ითვალისწინებდა ბაგრატ მეფე და თავის რანულ სამხედრო ოპერაციას მხოლოდ ნარმატების სტრატეგიაზე აგებდა.

საამისო ძალები ამ დროს მას ქვეყნის შიგნითაც საკმაოდ ჟყავდა, მაგრამ მაინც ანისს — შირაქის სამეფოს ძალების მოხ-მობაც გადაწყვიტა და საამისოდ მოციქული გაუგზავნა გაგია მეფეს, რომლეც ასე შეწუხებული იყო თავისი ჩრდილოელი მეზობლობის ავკაციონითა და თავხედობით. იმ დროს ეგზომ „განდიდებული“ ამირა ფადლონ არა მარტო საქართველოს აღ-მოსავლეთ პროვინციებს — ჰერეთსა და კახეთს ანუხებდა „უა-მითა-უამად მეკობრეობით და პარვით“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 279), არამედ ანისს — შირაქის სამეფოსაც.



იცოდა ეს ბაგრატ მეფემ და სომეხთა მეფეც ამიტომაც „ანვია, რათა იძიოს შური ფადლონისგან“ (იქვე).

გაგიკ მეფეს ეს წვევა „სიხარულით“ მიუღია და მაშინვე („მოსანრაფედ“) მოუნოდებია „ყოველთა სპათა თქსთა“ (იქვე).

სიტყვა „ყოველთა“-ს ხმარება ძალიან უყვარს მატიანე ქართლისას ავტორს, მაგრამ იგი მისთვის ყოველთვის მის რეალურ შინაარსს როდი შეესატყვისება. როდესაც რანის ამირას წინააღმდეგ გაერთიანებული ლაშქრით ბაგრატ მეფე მიემართებოდა, სომეხთა მეფეს ასე ტოტალური მობილიზაციის გამოცხადება არ უნდა დაჭირებოდა, რაც ტერმინ „ყოველთა“-თა იგულისხმება. ერთი რამ კი ცხადია, რომ გაგიკ მეფე სერიოზულად მოკიდებია ბაგრატის მოკავშირეობის საპატიო მისიას და ისეთი ძალით გამოსულა, რომ თავი ესახელებინა ამიერკავკასიის დიდი მეფის წინაშე.

მოკავშირენი ქვემო ქართლს, ძორაკერტს შეიკრიბნენ: ბაგრატი ლიხთიქითიდან მობრძანდა, ხოლო გაგიკ მეფე ანისიდან.

რომელი გზით მივიდა ძორაკერტს ერთი ან მეორე ამაზე მატიანე ქართლისას ავტორი არაფერს ამბობს. არც სუმბატ დავითისძეს აქვს ამაზე რაიმე ცნობა და არც იმ დროის სომეხ ავტორებს.

ლიხთიქიდან ძორაკერტისაკენ მოკლე გზა თრიალეთზე იდო და ბაგრატიც ლიხთიქითისა და ქართლის ლაშქრით თითქოს ამ გზით უნდა ნასულიყო. ასევე თრიალეთის გარდმოვლით უნდა მისულიყო ანისიდან მომავალი სომეხთა მეფეც.

დავით კურაპალატის მეთოდით (ჯარის მრავლობა უბრძოლველად თავგზას უბნევს მონინააღმდეგებს) მისულ ბაგრატ მეფესთან პირდაპირ შებმა ფადლონმა ველარ გაბედა და „მიმართა სიმაგრეთა შესლვად“ (იქვე).

ბაგრატმა იცოდა, ალბათ, რომ ასეც უნდა ყოფილიყო და გაერთიანებულ ქართველ-სომეხთა ლაშქარს, ეტყობა, რანის

პირველ ძლიერ ციხე-ქალაქ „შანქორამდე“ არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია.

საინტერესოა, რომ რანის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრიდან შანქორამდე კარგამანძილი იყო და ასეთი ვრცელი მინანყლის უბრძოლელად დაჭრა, რა თქმა უნდა, დიდი საქმე იყო და ამით კანონიერადაც ამაყობს XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი: „ამან დიდმან და ყოვლითურთ ძლევა-შემოსილმან მეფემან ბაგრატ წარმოტყუევნა ქუეყანა რანისა“ და „მოადგა ქალაქსა შამქორსა“-ო (იქვე, გვ. 280).

გაუცნობიერებელმა მკითხველმა აქ შეიძლება უსაფუძვლო აპოლოგიაც კი დასდოს ბრალად ისტორიკოსს მეფის რა „სიდიდე“ ან „ძლევა-შემოსილება“ იყო საჭირო დაუცველ ქვეყანაში ბაგრატ მეფის შექრისა და შანქორამდე მისელისათვისო. ერთი შეხედვით ეს მართლაც ასე გამოიყურება, მაგრამ ისმება კითხვა: რამ აქცია ასეთად რანის ეს ჩრდილო-დასავლეთი მხარე? სწორედ ბაგრატის გონივრულმა მოქმედებამ და დიდმა ძალამ, რომლითაც ის რანს წაადგა თავზე. ის რომ ასე დიდი ლაშქრით არ მისულიყო, მაშინ ფალდონი მას საზღვარზე დაუხვდებოდა და იქვე შეუკრავდა გზას. ასე რომ, XI საუკუნის ისტორიკოსი აქ ოდნავადაც არ აჭარბებს და ისტორიულ რეალობას ასახავს, იმ ჭეშმარიტ სიმართლეს მეტყველებს, რომლის მეოხებითაც სწორედ ასე უსისხლოდ „წარმოტყუევნა“ ბაგრატ მეფემ „ქუეყანა რანისა“ (იქვე).

ელვის სისწრაფითა და უდანაკარგოდ გაიარეს მოკავშირეებმა რანის ეს მინიჭვნელოვანი მხარე და სწრაფადვე მიადგნენ შამქორს. და აი სწორედ აქ შეექმნათ პირველი თავსამტვრევი: შამქორს ძლიერ ზღუდე ერტყა, რომლის დაძლევა საკმაო დროსა და ძალისხმევას გულისხმობდა. ბაგრატი და მისი ლაშქარი ამ საქმისათვის მზად იყო. წამოღებული პქონდათ ზღუდის სანგრევი იარაღები — ფილაკავანი, რომელიც მისელისთანავე მიუყენეს გალავანს და იწყეს მისი კედლების ნგრევა.

ქალაქის ალყა და ზღუდის ნგრევა რამდენიმე დღეს გაგრძელებულა. ამას მოწმობს ისტორიკოსის მიერ მითითებული „მცირედნი დღენი“ (იქვე, გვ. 280).

რამდენი დღე იგულისხმება ამაში, ძნელი სათქმელია, მაგრამ 4-5 დღე, ალბათ, მაინც. უფრო მეტხანს რომ გაგრძელებულიყო ეს საქმე, ისტორიკოსი დღეებიდან კვირაზე უნდა გადასულიყო.

შეიძლება კაცმა იფიქროს, შამქორის კედლების ნგრევის გაჭიანურების აღნიშვნით ისტორიკოსს არ სურს ჩრდილი მიაყენოს ბაგრატ მეფეს და ამიტომ ცდილობს რამდენადმე მიჩქმალოს რეალობა და ცხადად არც ის დღეები დაგვისახელოს, რაც ციხე-ქალაქის ზღუდისებულების რღვევამ ნაიღო.

შეიძლება ეს შენიშვნა სწორიც იყოს და არც იყოს სწორი. საქმე იმაშია, რომ ისეთ სანაპირო ციხე-ქალაქებს, როგორიც შამქორი იყო, პატრონები განსაკუთრებით მტკიცე ზღუდით ამაგრებდნენ, რადგან ხშირად სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული ისეთი ციხე-ქალაქის გაძლების საიდუმლო შესაფერ შემთხვევაში.

ასე იყო თუ ისე, ისტორიკოსი ბუნებრივია მოერიდებოდა იმ საზეიმო პათოსით დარღვევას, რაც რანის ოპერაციის დასაწყისიდან აიღო და ამაში არც რაიმეა საძრახო.

ასეთ ვითარებაში შამქორის ზღუდის სანგრევად ლაშქრის „მცირედთა დღეთა“ დაყოვნება ძალიან მოხერხებული სვლაა. ამით არც რეალობა ყალბდება და არც იმ ნარმატებას ადგება ჩრდილი, რომელიც ოპერაციის პირველი ნუთებიდანვე დაეუფლნენ ქართველები და მათი მოკავშირენი.

ამირა ფადლონი, აშკარაა, დიდი ნერვიულობით ადევნებდა თვალს თავისი ერთ-ერთი უმდიდრესი ციხე-ქალაქის დღეს თუ არ ხვალ დაცემას და, როდესაც დარწმუნდა, რომ ქართველები სადაც იყო გაანგრევდნენ შამქორის უმტკიცესს ზღუდეს და შეიჭრებოდნენ ქალაქში, დასწრება ამჯობინა და ღამით, როცა

ზღუდის ნგრევა დროებით შეჩერებული უნდა ყოფილიყო, ბაგრატ მეფეს მოციქული მოუგზავნა და „ითხოვა შენდობა“ (იქვე).

ეს ნაბიჯი ამირასაგან მდგომარეობის უსწრაფესი შეფასების შედეგი იყო და მის უდაო პოლიტიკურ ნიჭს მოწმობდა.


თუ ბაგრატ მეფე მის შეთავაზებას მიიღებდა, ფადლონი ნამხდარი საქმის პირობაზე საუკეთესო გამოსავალს პოულობდა.

მან კარგად იცოდა, რომ ქართველთა მეფე უბრალოდ არ შეუნდობდა მას თავის ცოდვებს, ამიტომაც იყო, რომ „აღუთევა დღეთა შინა სიცოცხლისა მისისათა მსახურება, გაუკეთა ხარაჯა და დაუწერა თავის-თავითა ლაშქრობა მტერთა მისთა ზედა“ (იქვე).

და ყველაფერი ეს პატარა საქმე როდი იყო, რანის ძლიერი ამირა იმ დროს, როდესაც ქართველთა ლაშქარს ჯერ სისხლის წვეთიც არ დაეღვარა, ყმადნაფიცობის პირზე უცხადებდა მორჩილებას, თავს ვასალად სთავაზობდა, ამასთანავე ხარაჯასაც სთავაზობდა და ლაშქრობებშიც მონაწილეობას.

ამაზე უკეთესი რა შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ პირველად მეფემ მაინც არ მიიღო ფადლონის შემოთავაზება და ზავის ნინაშე შემოკრებილ დიდებულთ შამქორის დაჭერა უბრძანა (იქვე).

ეს, ალბათ, ბაგრატის მოჩვენებითი სვლა იყო იმის საჩვენებლად, რომ, თუ რამდენად იყო იგი გაბოროტებული ფადლონის ვერაგულ მოქმედებაზე. და დიდებულებიც პირველად უსიტყვოდ დაიძრნენ მეფის ბრძანების შესასრულებლად. ძნელია ალბათ იმის გადმოცემა, თუ რა უნდა განეცადა ამის შემტყობ ამირას. მასზე უკეთ ვინ იცოდა, რასაც ნიშნავდა ქართველთა შეტევა შამქორსა და რანის სხვა ციხე-ქალაქებზე. სისხლის ტბებს გარდა ეს ხომ რანის ქალაქთა სიმდიდრეთა ცეცხლისათვის მიცემას და დატაცებას ნიშნავდა, საბოლოოდ კი ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განადგურებას.



ასე დაუხშო ბაგრატ მეფემ ფადლონ ამირას მარჯვედ შო-
ძებნილი გამოსავალი და მძიმე საგონებელში ჩააგდო. ფად-
ლონს სხვა გამოსავლის მიკვლევა აღარ ძალუძღა და ნინას-
ნარ უნდა გამოეტირა თავისი ასე აღზევებული ქვეყანა. მაგრამ
ასე ყოველმხრივ საშველს მოკლებულ ამირას ისევ ქართველი
ფურდალები „ნამოეშველნენ“ და შამქორის ციხის — გალავნის
ნახევისა და გაცნობიერების შემდეგ მეფეს მისი ბრძანების უსა-
ფუძვლობა მეტად მოხერხებული ფორმით დაუსაბუთეს: თით-
ქოსდა „ვერ-ვის ძალ-ედვა“ იმ ზღუდეთა დაძლევა, უფრო იმი-
ტომ, რომ, თუ ამას შეუდგებოდნენ, მაშინ „სხუათა ყოველთა
სალაშქროთა საქმეთაგან უცალო იქმნებოდეს“ (იქვე).

ასე იყო თუ ისე დიდებულთა ამ აზრს დაყაბულდა მეფე და
დათანხმდა ფადლონთან ზავზე (იქვე).

ასე ერთობლივად „გამოარჩიეს და უმჯობესად ანკეს ზავი“
(იქვე).

ამის შემდეგ მეფემ ამირას გაუგზავნა მოციქული და აუწყა
ზავზე თანხმობა (იქვე).

ქართველთა მეფის სრულიად მოულოდნელმა ამ გადაწყვე-
ტილებამ დიდად გაასარა ფადლონ ამირა და „აღასრულა ყოვე-
ლი იგი, სიტყვთ აღთქმული, საქმით“: (იქვე).

საქმე კი აქ ძლიერ ბევრს ნიშნავდა. ეს იყო „ძლუენი დიდი
და მიუწვდომელი“ (იქვე).

ეს „ძლუენი“ თუ „ხარაჯა“ გალალებულმა მეფემ უშურვე-
ლად გაუნანილა თავის მოლაშქრეებს: „აღავსნა ყოველნი დი-
დებული ნიჭითა მიუწვდომელითა“ (იქვე).

და არა მარტო ქართველები უნდა გაელალებინა ბაგრატ
მეფეს, არამედ სომებს მოკავშირეებისადმიც დიდი გულისყუ-
რი უნდა გამოეჩინა, რაზეც მატიანე ქართლისას ავტორი აღა
ამახვილებს ყურადღებას.

და ეს გულმავიწყობით ან შემთხვევითობით კი არ მოსდის,
არამედ შეგნებულად უნდა აკეთებდეს.

რანის კამპანია ისე წარიმართა, რომ არა მოკავშირებს არ დაჭირვებიათ ბრძოლა, არამედ ქართველებიც კი თითქმის ხმალმოუქნევლად დაბრუნდნენ რანიდან.

ეტყობა, ეს გარემოება უკარნახებდა ისტორიკოსს, რომ რანის ასე წარმატებული ოპერაციის ფინალში სომებ მოკავშირებს აღარ შეხებოდა.

ბაგრატ მესამეს თავისი ხანგრძლივი მეფობის მანძილზე მრავალი დიდი თუ პატარა ომი გადაუხდია, მაგრამ იმის მსგავსი, რაც რანში იყო, არსად ყოფილა. სამწუხაროდ, ეს ოპერაცია დიდი მეფისათვის უკანასკნელი გამოდგა.

როდის იყო ეს?

სამწუხაროდ, არც ქართული და არც უცხოური წყაროები ამ მოვლენის თარიღს არ გვანვდიან, რაც აპირობებს აზრთა სხვადასხვაობას. (გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, V, 1930, გვ. 194).

ეს თარიღი 1011-1012 წლებით დაავინროვა და სინამდვილესაც უფრო დაუახლოვა ნ. ბერძენიშვილმა 1956-ი ელს (საქართველოს ისტორია, I (მაკეტი), 1956, გვ. 135).

„მეგობრად და ერთგულყო“

როდესაც სუმბატი ბაგრატ მესამის საგარეო-პოლიტიკურ წარმატებებს ჩამოთვლის, „სპარსეთის მეფესთან“ დამყარებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობასაც უსვამს ხაზს: „სიბრძნითა და ძლიერებითა თვისითა“ იმდენი მოახერხა, რომ „მეფე სპარსთა თვეს მეგობრად და ერთგულყო“-ო (სუმბატ დავითისძის ქრონიკა, 1949M გვ. 68).

ვინ უნდა იყოს ეს „სპარსთა მეფე“, რომელი „სპარსული“ ანუ მუსლიმანური სახელმწიფო ჰყავს მხედველობაში?

საკითხი საინტერესოა და შესასწავლი. სამწუხაროა, რომ
აქამდე ამისათვის არავის მიუქცევია სერიოზული ყურადღება. ამის
როდის იყო ეს?

ამის თარიღს არც სუმბატი იძლევა და არც სხვა ვინმე.
და, რადგან საკითხი არავის უძიებია, მისი თარიღიც და-
უდგენელია.

მოხარული

1011-1012

სუმბატის თქმით, ადარბადაგანი და შირვანი ბაგრატის მო-
ხარე იყო (სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, 1949, გვ. 68).

ადარბადაგანის ნანილი, კერძოდ რანის ქვეყნის ნანილი,
განვის საამირო (ამირა ფადლონ I-ის დროს) მართლაც იყო
ბაგრატის მოხარე. ეს ქვეყანა ასეთ მდგომარეობაში მან 1011-
1012 წელს ჩააყენა (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 280). მაგ-
რამ შარვანი (ე.ი. მტკრის მარცხენა ნაპირის ქვეყანა) როდის
იქცა საქართველოს მეფის მოხარედ, ეს ცნობილი არ არის და
შესწავლას მოითხოვს.

„შიში არანდა“

როდესაც სუმბატ ბაგრატ მესამის საგარეო პოლიტიკას
ახასიათებს, ერთგან შენიშნავს, რომ მისი ბიზანტიის იმპერა-
ტორსაც კი ეშინოდა („ბერძენთა მეფესაცა შიში აქუნდა ამისა
ყოვლადვე“-ო — სუმბატის ქრონიკა, გვ. 68).

ბაგრატიონთა მეისტორიე არ ასახელებს, თუ პირადად ბი-
ზანტიის რომელ იმპერატორს გულისხმობს აქ, მაგრამ ამის



გარევევა ძნელი არ არის, რადგან იმდროს ბიზანტიის მხოლოდ ერთი კეისარი მოღვაწეობდა — მრისხანე ბასილ II (478-1025).

სწორედ ბიზანტიის ამ ერთ-ერთ უძლიერეს იმპერატორს ჰქონდა ბაგრატ მესამის შიში.

მეფის ასულის გათხოვება

1013-14

გიორგი მთანმინდელის ცხოვრებაში საკმაოდ ხელშესახები ცნოებია ფერსი ჯოჯიერისძის სათნოებით სავსე მეუღლეზე, რომელმაც მომავალი დიდი მნერალი შვილად აღიარა და მის აღზრდაშიც თვალსაჩინო მონაწილეობა მიიღო.


ეს დიოფალი, რომელიც მთანმინდელი ცხოვრებაში „სალმრთო... დედაკაცის“ ეპითეტით იხსენიება, 1022 წელს დაქვრივდა. მისი ქმარი განთქმული იმიერ-ტაოელი სარდლის ჯოჯიერის უმცროსი ძე გიორგი I-თან აღიანსში ყოფნის მიზეზით სიკვდილით დასაჯა ბასილი II კეისარმა (ხალტო-არიჭის ციხის მახლობლად).

მისი ქვრივი და მთელი „ერი“ კონსტანტინეპოლის ნაასხეს, სადაც 12 წელი დაჰყო.

სატახტოდან 1034 წელს დაბრუნდა. როდის გარდაიცვალა, არ ვიცით.

ალბათ, ჯოჯიერიანთ საგვარეულო საძვალეზე იქნება დაკრძალული ანდა ვინ უნყის იქნებ სულაც ბანას.

ამ დიოფლის უფლისნულობა მთანმინდელის ცხოვრებაში პირდაპირი ჩვენებით გამხელილი არ არის. მხოლოდ მისი ერთი ბერი ძმის (ბასილის) მამის სახელით (ბაგრატი) მიენიშნება ამაზე (ცხოვრებაზე გიორგი მთანმინდელისად, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტ. ძეგლები, II, 1967, გვ. 117).



პირველად კ. კეკელიძემ მიუთითა რომ ეს ღვთისმოსავი და პატირიოტი მანდილოსანი „ბაგრატ მესამის ქალი“ ყოფილა (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1951, გვ. 190).

ბაგრატის ასულის გათხოვების დროზე პირდაპირი ცნობა ჯერჯერობით არაა გამოვლენილი.

არ არის მოულოდნელი, რომ ის თვით მამის სიცოცხლეში და მამისივე ნებით მითხოვებოდა ფერსი ჯოვიეისძეს.

თუ სწორია ჩვენი ვარაუდი მისი დაბადების თარიღზე (999-1000), მაშინ მის გათხოვებას 1013 ან 1014 წელს მაინც ვერა-ფერი დააბრკოლებდა.

„პიცეთიდან ვიღრე გურგენამდე“

მატიანე ქართლისა, როცა ბაგრატის მოლვანეობას აჯა-მებს, მისი შენამოქმედ ქვეყანას ასეთ საზღვრებში ნარმოვეიდ-გენს: „ჯიქეთიდან ვიღრე გურგენამდე“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 283).

და ეს არაა გაზვიადებული. ასეც იყო.

ჩრდილო საქართველო მართლაც ჯიქეთამდე აღნევდა. ჯი-ქეთი იმ დროს სამხრეთით სოჭის სექტორამდე აღნევდა. აქ ემიჯნებოდნენ ერთმანეთს გაერთიანებული საქართველო და ჯიქეთი.

რაც შეეხება გურგანზე გასვლას, მეისტორიეს აქ მხედ-ვლეობაში აღნევს ბაგრატის რანზე ლაშქრობა, რაც სიცოცხლის ბოლო ნლებში განახორციელა. მან მართლაც დაამარცხა განძის ათაბაგი ფადლონი და მოხარკედ დაისვა, მაგრამ ის ისე უშუალოდ არ შედიოდა საქართველოში, როგორც ჩანს, ამჯერად არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მისთვის მთა-

ვარი იყო, რომ ბაგრატის მოხარეე რანი გურგანის (კასპიის) ზღვაზე გადიოდა.

„ქორონიქონისა შრას ოცდათოთხმეტსა“

7 მაისი 1014

ქორ. 234 ანინდელი წელთაღრიცხვის 1014 წელს შეესაბამება. ამ წესით მიუთითებს ბაგრატ მესამის გარდაცვალებას XI ს-ის ისტორიკოსი, მატიანე ქართლისას ავტორი (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 283).

ასეთივე თარიღსვე გვთავაზობს იმავე ხანის მეორე ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძეც, ოლონდ ძველებურად ქორონიკონის ასოების ჩვენებით — ხლდ (სუმბატ დავითისძის ქრონიკა, 1949, გვ. 69).

უნდა ვიფიქროთ, რომ პირველი მეორეს ემყარება, თუმცა ამას აქ რაიმე არსებითი მნიშვნელობა არ გააჩინია. მთავარია, რომ ორი ქართული წყარო თანხმობით გადმოსცემს ამ თარიღს.

ოდნავ განსხვავებული ცნობა დაუცავს იმავე დროს სომებისტორიკოს არისტარეს ლასტივერტეცის, რომელიც ბაგრატის გარდაცვალებას სომხური წელსათვალავის 464 წელს მიუთითებს, რაც ჩვენი წელთაღრიცხვის 1015 წელს შეესატყვისება (არ. ლასტივერტეცი, ისტორია, გ. ცაგარეიშვილის თარგმანი, 1974, გვ. 42).

ივ. ჯავახიშვილი სომხურ 464-ს 1014-1015 ნლებს უფარდებს (ქართველი ერის ისტორია, II, 1983, გვ. 133); ამასვე იზიარებს ლ. დავლიანიძე-ციციშვილიც (მხითარ აირივანეცი, ქრონიკოგრაფიული ისტორია, ლ. დავლიანიძის თარგმანი, 1990, გვ.).

საინტერესოა, რომ ქართული წყრაოები აქ მარტოდენ ქორონიკონის მითითებით არ კმაოყიფლდებიან და იშვიათი გულ-

მოდგინებით ასახელებენ თვესაც (მაისი), რიცხვს (7) და ფლეჭა
საც (პარასკევი).

ისტორიკოსებს შორის აქ მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ
თუ სუმბატი მაისის რიცხვსი ზ ასოთი გადმოგვცემს (იქვე), მა-
ტიანე ქართლისას ავტორი ამას 7-ით ცვლის (ქართლის ცხოვ-
რება, I, გვ. 283).

სუმბატი იმ ციხე-ქალაქსაც (ფანასკერტი) მიუთითებს, სა-
დაც ბაგრატ მეფე გარდაცვლილა (სუმბატ დავითისძის ქრო-
ნიკა, გვ. 69), მატიანე ქართლისას ავტორი, რომელიც ძალიან
ცდილობს როგორმე არ დაემთხვეს წინამორბედს, ფანასკერტს
ტაოთი ცვლის (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 283).

მას შეეძლო ტაო აქ ამიერითაც დაევინროვებინა, რადგან
იმ დროს ბაგრატის სამფლობელოში ამ მხარის მხოლოდ ეს ნა-
ნილი შედიოდა, მაგრამ ამას არ აკეთებს და ვინ უწყის იქნებ
უბრალოდ. და ასე აღესრულა ბაგრატ დიდი ამიერ-ტაოს იმ
ციხეში, რომელსაც ის 1008 წელს დაეპატრონა უშუალოდ და
მაშინვე იქ მანამდე უპრეცედეტო აქტი (სანადიმოდ მოწვეულ
მამიდაშვილთა შეპყრობა) განახორციელა და ვინ იცის კიდევ
რას მოიმოქმედებდა მის მიერ ასე დიდი რუდუნებით შექმნილი
ერთიანი საქართველოს საკეთილდღეოდ.

გლოვა მეფისა

ბაგრატ მესამის გარდაცვალებას შინ თუ გარეთ ერთგვა-
როვანი რეაქცია არ შეიძლება ჰქონოდა.

ყველა ის, ვინც მან მიამლძავრა, ბუნებრივია, ამ აქტს სი-
ხარულით შეხვდებოდა. ისინი კი, ვისაც ესმოდა მისი მოღვაწე-
ობის არსი, მნუხარებით.

ცოტანი არც ისეთები იქნებოდნენ, რომლებსაც საერთოდ
არაფერი გაეგებოდათ, თავის უმეცრების ალში ინვოდნენ.



ქართველთა ძლიერი მეფის გარდაცვალება არც ქვეყნის გარეთ დაამნებრებდა ბევრს, მათ შორის ბასილ II კეისარს, რომელიც მგლის თვალით და მადით შეცეკროდა საქართველოს.

პანაშვიდი ფანასკერტს

9-10.V 1014

მეფის პანაშვიდი თითქოს ფანასკერტს უნდა შემდგარიყო, სადაც შეიკრიბებოდა გაერთიანებული ქვეყნის ელიტა, ერის-თავთ-ერისთავები, ციხისთავები და სხვანი.

საბოლოო გამოთხოვება, ალბათ, სატახტო ქუთაისს უნდა გამართულიყო.

ამაზე არც ერთი ქართული ან უცხოური წყარო არ მოუ-თითებს.

სუმბატი მეფის გარდაცვალების თარიღის მითითებით კმაყოფილდება და ამის შემდეგ მხოლოდ იმას აღნიშნავს, თუ ვინ დაიჭირა ტახტი (სუმბატ დავითისძის ქრონიკა, გვ. 69).

ამისგან განსხვავებით მატიანე ქართლისას ავტორი იმაზეც მიგვანიშნებს, თუ ტაოდან სად გადაასვენეს მეფის ნეშტი (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 283).

მაგრამ XI ს-ის ქართველ ისტორიკოსთა ლაკონიზმი სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ დიდი მეფე იმ დროს მიღებული რიტუალების დაცვის გარეშე დაეკრძალათ.

თუ ამას გავითვალისწინებდით, მაშინ მეფის პანაშვიდიც უნდა გამართულიყო და საბოლოოდ გამოთხოვებაც.

ჩვენი აზრით, ბაგრატის პანაშვიდი თითქოს იქვე უნდა შემ-დგარიყო, სადაც გარდაიცვალა (ფანასკერტს), ხოლო მისი გაგრძელება და გამოთხოვება სატახტო ქალაქს.

პანაშვიდი ფანასკერტს 8, 9 მაისს უნდა გამართულიყო, ხოლო შემდეგ ქუთაისს გადაესვენებინათ.

მინისტრის გადმოსახელის გზა
11-12.V. 1014

ფანასკერტი ქუთაისს არაერთი გზით უკავშირდებოდა. მათგან უფრო მოხერხებული და მოკლეც იყო ის გზა, რომელიც ჭოროხის ხეობით მიემართბეოდა ქუთათისაკენ. ეს გზა ვერ მდ. ფანასკერტს მისდევდა მდ. ოლთისამდე. შემდეგ იგი დასავლეთით მიიხრებოდა და მდ. ოლთისა მისდევდა ჭოროხამდე. ამის შემდეგ გზა ერთხანს ჭოროხის მარცხენა სანაპიროს გასდევდა, ხოლო შემდეგ მარჯვენა სანაპიროზე გადადიოდა და ნიგალის გავლით ჭანეთში ჩადიოდა ხუფათს. აქედან სახმელეთო გზაზე მავალს შეეძლო არჩევანი მოეხდინა და საზღვაო გზითაც ესარგებლა. თუ სახმელეთო გზით წავიდოდა მგზავრი, მაშინ ის აფხაზ-გონიოსა და ბათუმით უნდა წასულიყო, ხოლო, თუ ზღვით, მაშინ ხუფათით ფოთს მიეიდოდა, ხოლო იქედან ქუთათისს (ხმელეთით ან სამდინარო გზით).

ამ გზის დაძლევისათვის ერთი დღე შეიძლება საკმარისი არ იქნებოდა, ალბათ, მაგრამ ზვიად მარუმიანს, რომელიც მეტის ცხედარს მოასეენებდა, უეჭველად უნდა ეჩქარა.

ძუთათისის სასახლე ქართველი

13 ან 15 მაისი, 1014

არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია იმაზე, თუ როგორ გამოეთხოვა ქუთათისი ბაგრატ მესამეს, მაგრამ რამდენადმე მაინც შეიძლება ამის წარმოდგენა.

სხვას რომ თავი დავანებოთ, მეფის სასახლე მაინც ძაძებში უნდა ყოფილიყო გახვეული.

ვინ იცის იქნებ მეფის ცხენიც ძაძით იყო შემოსილი.
 იქნებ გამოსათხოვარი სიტყვებიც იყო.

ყველაფერი ეს მაინც ვარაუდია. სინამდვილესთან უფრო ახლო იქნება გამოთხოვების თარიღი, რაც ან 13 მაისს (ხუთშაბათი) უნდა ვივარაუდოთ ანდა უფრო 15 მაისს (შაბათს).

მეცის ნება ქუთაისი-ბეჭის გზაზე

16 მაისი, 1014


ქუთათისიდან ბედისაკენ იმ დროს საკმოად მოხერხებული და მოქლე გზა მიდიოდა. ეს გზა ხონის გავლით გადალახავდა ცხენისნყალს და ჩრდილოეთით მიხრილი მიდიოდა ტეხურზე. ერთხანს ამის შემდეგაც ასეთივე მიმართულებით მიემართებოდა, ხლო შემდეგ დასავლეთით მიიხრებოდა და ზემო ნელზე გადალახავდა ჯერ მდ. ხობს, ხოლო შემდეგ ჭანისნყალს და ჭაჭვინჯს შედიოდა. ამის შემდეგ უკვე მდ. ენგური იყო დასაძლევი დიხაზურგასთან. თუ ზაფხული იყო ფონით შეიძლებოდა გასვლა, ხოლო თუ წყლის დიდრობა, მაშინ ნავით. ენგურის შემდეგ გზა ჩრდილოეთით მიიხრებოდა და ასე მიდოდა მდ. ერთისნყლამდე, შემდეგ ჩრდ-ით მიიხრებოდა და ასე გადადიოდა მდ. ოქუმზე და შედიოდა ბედიაში.

მეცის დაპრძალვა

18 მაისი (სამშაბათი) 1014

ბედიას მეფის ნეშტი თითქოს 17 მაისს (ორშაბათს) უნდა მიესვენებინათ და ერთი ლამით მიანც სასახლეში დაესვენებინათ.

18 მაისს კი ბედიას მეფესთან ჩრდ. საქართველოს მოსახლეობის გამოთხოვება და დაკრძალვა უნდა შემდგარიყო. მეფე დაკრძალეს მის მიერ აგებულ ბედის ბრნყინვალე საყდარში.



იყო თუ არა ბაგრატის საფლავი პირველი ბედის ტაძარში მნელი სათქმელია, რადგან იქ დაერძალვის არანაკლები უფლება ჰქონდა მეფის დედას გურანდუხტ დედოფალსაც, რომელიც ასე ზრუნავდა ამ საყდრის აგებასა თუ მისი სამკაულებით ავსებაზე.

თუ დადგნდება, რომ დედოფალი შეიღწე ადრე მიიცვალა, არ არის გამორიცხული, რომ პირველად სწორედ მისი საფლავი გაეჭრათ ახლადაგებულ ბედის ტაძარში.

ჩვენ არ ვიცით ტაძრის რა ნანილში გაიჭრა მეფის საფლავი, მაგრამ ეს თითქოს შეა ადგილას უნდა ყოფილიყო.

საფლავს შესაფერისი ეპიტაფიან ლოდი უნდა ჰქონოდა, რასაც უამთა სიავის გამო ჩვენამდე არ მოუღწევია.

ბაზრატის ფრესკა ზარზმას

დიმ. ბაქრაძეს ზარზმის ეკლესიის ფრესკებში ბაგრატ III-ის „სურათი“-ც ამოუცვნია. მის აღნერაზე ან სხვა რაიმეზე ყურადღებას აღარ ამახვილებს და მხოლოდ ფაქტის აღნიშვნით („... აქამომდე მოჩანს“-ო) კმაოფილდება (ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, 1885, გვ. 139, შენიშვნა).

ბოლოსისი მაგივრ

ბაგრატ III ჩემი ყურადღება სტუდენტობის ხანიდან მიიპყრო, როდესაც პროფ. სარგის კაკაბაძემ (1886-1967) სტუდენტთა სამეცნიერო ნრის სხდომაზე გამომატანა რეფერატი „მეცნე ბაგრატ III“.

და 1947 წლის იანვარში კიდეც ნავიკითხე ეს უპრეტენზიონელერატი.

სულ მალე ს. კაკაბაძე გაათავისუფლებს ბათუმიდან და ამის შემდეგ კარგახანს დიდი ბაგრატ III მოღვაწეობის შესწავლის გაღრმავებისათვის აღარ შემქმნია ისეთი ვითარება, რომ კვლავ დავბრუნებოდი ამ არც თუ ისე ადვილად დასაძლევ თემას.

ეს დრო მას შემდეგ დადგა, როდესაც ქართული ისტორიის მნერლობა თვალსაჩინოდ ამაღლდა საისტორიო ბიოგრაფიის ახალ ეტაპზე, 1953 წლიდან აკად. ნ. ბერძენიშვილის (1890-1965). ამ დროიდან მეც ისტორიის ამ სფეროსკენ გავემართე ჩემი მასწავლებლის (აკად. ნ. ბერძენიშვილი) მითითებით და როგორც თივთონ ბრძანებდა მისი მზრუნველობით ვიქეცი ველზე საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის „სასინჯ ქვად“.

1958 წელს უკვე ნ. ბერძენიშვილის რედაქციით დაიბეჭდა ჩემი პირველი ნარკევეცი „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკის“ პირველი ნიგნი, რომელსაც ისეთი ინტერესით შეხვდა ქართველი საისტორიო გეოგრაფიით დაინტერესებული საზოგადოება, რასაც ქართულ საისტორიო მეცნიერებაში არც ისე ბევრი პრეცედენტი ჰქონდა.

მთავარი ის იყო, რომ ამ დროს არა მარტო საისტორიო მნერლობამ, არამედ მთელმა ხალხმა დაინახა რაოდენ დროული იყო საისტორიო გეოგრაფიის კიდევ უფრო დაწინაურება.

ამ ფონზე სრულიად ახლებურ გადახედვას მოითხოვდა ქართული სასიტორიო მნერლობა, რომელსაც აქამდე მნიშვნელოვნად ჭირდებოდა საისტორიო გეოგრაფია.

სწორედ ამაზე ნარმართა საუბარი ნ. ბერძენიშვილმა თბილისში იმავე წელს.

საუბარი შედგა ნ. ბერძენიშვილის ბინაზე, სადაც იმ დროს ბრძანდებოდა არქეოლოგი ნინო ბერძენიშვილი (1907-1985), არქეოლოგი გიორგი ლომთათიძე (1914-1971), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი (1895-1985), შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი შოთა მესხია (1914-1972 წ.).

6. ბერძნიშვილმა სამაგალითოდ დაასახელა რამდენიმე კართველი მეფე, მათ შორის დიდი ბაგრატ III.

ამან კიდევ უფრო გააძლიერა ჩემი ინტერესი საქართველოს გამაერთიანებელი გენიალური მეფისადმი და ეს მუშაობა 1958 წლის შემოდგომაზე დავინცყე. და ეს იმ დროს დაემთხვა, როდესაც „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიები“ მეორე ნიგნი მთავრდებოდა გამოსაცემად.

ამიტომ ბაგრატს ცოტა მოგვიანებით მოვეიდე ხელი, მაგრამ გამოცემა კარგახანს აღარ მომიხერხდა და ამასობაში მისი ქართლში გამეფების (საქართველოს გაერთიანების 1100 წელიც მოვეიდა).

ბაგრატ მეფე ყოველთვის იქცევდა ქართული სასიტორიო მნერლობის ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი მეისტორიე არ ყოლია, ისტორიკოსთა ყურადღება არასოდეს კლებია.


ვახუშტი ბატონიშვილმაც (1696-1777) კარგი გამოკვლევა მიუძღვნა, ივანე ჯავახიშვილმა (1876-1940), ნიკოლოზ ბერძნიშვილმა და სხვებმაც.

განსაკუთრებით საინტერესოა მარიამ ლორთქიფანიძის (დაიბ. 1922 წ.) ბაგრატ III.

ბაგრატს დიდ ყურადღებას უთმობდა როინ მეტრეველიც.

ისტორიულ-გეოგრაფიულად კი მისი შესწავლა ამ ნიგნის ავტორმა სცადა, მაგრამ იმ დროს ჯერ კიდევ სისხლსა და ხორციელი არ მქონდა გამჯდარი საისტორიო გეოგრაფიის პრინციპები, რის გამოც ამ თვალსაზრისით გაღრმავებული კვლევა კვლავ აუცილებელია.

ჩვენს დროში ბაგრატ მეფე კვლავ დაფასდა და საქართველოს ნმინდა სინოდმა ღირსეულადაც შერაცხა ნმინდანად. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის მეცადინეობით.



ძალიან დააგვიანეს საქართველოს გამაერთიანებლისა და ქუთაისის დიდი ტაძრის ამშენებლის წმინდანად აღიარებამ, მაგრამ ისტორია თავის გზით მიემართება და ჩვენ გულისტკი-ვილს ყურს როდი უგდებს.

ბაგრატის ტაძარსაც მიაქციეს ყურადღება და საქართველომ თავისი ძალებით სცადა მისი აღდგენა, რაც მისასალმებელია, მაგრამ მისი შესაფერი აღდგენა კვლავ სამომავლო ამო-ცანად რჩება საქართველოს.

P. S. მისი ახალი სიცოცხლე დაიწყო 1984 წლის მაისიდან, როდესაც განშენდა-აღდგენის სამუშაოები გაჩაღდა ქუთაისის მაშინდელი პარტიული ხელმძღვანელის, კეთილადმოსაგონარი მამუკა ასლანიკაშვილის ინიციატივით.

მიუხედავად ამისა, ბაგრატ III მაინც არ არის ჩვენში ისე სრული ფასით შემკობილი, რომლის ღირსიც ის გახლდათ.

ის თავისი უნიჭიერესი წინაპრის ბაგრატ II ნიჭით იყო ან-თებული და ისეთი კელაპტარი აუზთო საქართველოს, რომლის მსგავსი მანამდე არ ენახა ჩვენს ქვეყანას.

ეს კელაპტარი დავით აღმაშენებლამდე უნათებდა გზას ქვეყანას და შემდეგ იგი ხელახლა აღანთო უკვდავმა დავითმა.

ეს სიდიადე ბაგრატისა პირველად ქართულ საისტორიო მნიშვნელობაში დიდმა ნიკოლოზ ბერძენიშვილმა შენიშვნა, მაგრამ მას გამგრძელებელი აქამდე ნაკლებად თუ გამოჩენია. ამას დი-დი ყურადღება ჭირდება და ოდესამე გამოუჩინდება მას ღირსე-ული მეცნიერი, შინ იქნება ეს თუ გარეთ...

ბაგრატს საქართველოს გაერთიანებისათვის უამი მომზა-დებული დახვდა და თვითონაც თავისი ნიჭითაც შეუფერხებ-ლად გაიკაფა გზაც და ღირსეულადაც იღვანა.

მის ერთადერთ ვაჟს გიორგის ძალიან დიდი ვნება მიაყენეს ბერძნებმა, და არც ბაგრატ IV პეტრია დალხინებული მეფობა,

მაგრამ ქვეყანა ისე სწრაფად გაექანა ნინ, ბაგრატ III საქართველოს ისტორიას არგუნეს და ქვეყანა განვითარების „ყოველი საკუთაროს“ ხარისხზე აიზიდა და მან ძნელად, მაგრამ ასე თუ ისე მაინც გაუძლო თურქ-სელჩუკთა გამანადგურებელ შემოსევას. თუმცა შუააზიური ოკეანეს ტაიფუნები ნელ-ნელა დაცხრა დავითის გამეფების შემდეგ და „ყოველმა საქართველომ“ თავისი პირველი დიდგორიც (1122 ნ.) ღირსეულად იზიდა.

დემეტრე პირველი და გიორგი III-ც დიდი ნინაპრების კვალზე ვიდოდნენ და მხოლოდ თამარს გაუჭირდა, როდესაც დიდებულებმა იმძლავრეს და მათ „ერთნებობას“ დაუმორჩილეს ლომთა ნაშიერი.

გიორგი ლაშამ სცადა მათგან თავის დახსნა და აღმაშენებლობა, მაგრამ ამ დროს საქართველოს მსოფლიოს ქვლავ ახალი ყალყზე მდგარი ოკეანე დაეჯახა და მასთან ჭიდილი არც ისე ადვილი აღმოჩნდა.


მეფე დავით VI ნარინი შესამური ნიჭიერებით ჩაუდგა სათავეში ანტიმონლოლურ მსოფლიო კოალიციას და გიორგი V ბრნყინვალემ კიდეც სძლია თათრობის ასწლეულს.

თუმცა ქვეყნის დაღმა სვლის შეჩერება მაინც ვეღარ მოხერხდა და XV საუკუნეში არა თუ „ყოველი საქართველო“ გაქრა, არამედ თვით საქართველო დაიშალა.

ასე დარჩა ჩრდილოური ოკეანის აბობოქრებამდე.

საქართველოს სამეფო-სამთავროების მოსპობას ქართველებიც ესწრაფებოდნენ, მაგრამ საამისო ძალები აღარ აღმოაჩინდა. ჩრდილოელთა მოსვლის შემდეგ უცხო ძალამ იტვირთა ამ ამოცანის შესრულება, მაგრამ არა ქართულად, როგორც ქართველებს ეწადათ, არამედ უცხოურად.

XX საუკუნის დამდეგს გამოჩნდნენ საქართველოს ავტონომიის მომხრენი, მაგრამ ეს აზრი მეფის თვითმშეყრობელობამ არ ნაიკარა. მაგრამ მალე მას ისეთი ნყალი შეუდგა, რომელსცა ნაკლებად ელოდა.



რაც ამ დროს სრულიად მოულოდნელად ქვეყნის დამოუკიდებლობა ამოტივტივდა და რამდენიმე წელიც გაძლო, მაგრამ ქართველ მეუმრავლესოებს ისეთი საქართველო თვალში არ მოსდიოდათ და 1921 წელს შესძლეს კიდეც თავიანთი მიზნების განხორციელება. ამ გზით მათ სულ ახალ სარბიელზე გაიყვანეს საქართველო და ისეთ დიდ საქმეებს უნინამდლვრეს, რომლის მსგავსი არც არასოდეს უნახავს მსოფლიოს და სავსებით სწორად ამაყობდა დიდი გალაკტიონი ადრიატიკის ზღვითა („ახალი ნიკოფისია“) და წყნარი ოკეანით.

სამწუხაროდ შემდეგ ისტორია სხვა ზიგზაგებით განვითარდა და მავანთა კვლავ ნიკოფისით იწყეს „დიდ საქართველოზე“ ფიქრი, თუმცა არა თუ ნიკოფისია, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროსაც და სამაჩაბლოსაც დიდი სისხლის ღვრით დაემშვიდობენ.

ცოტა არიან ისეთები, რომლებიც არათუ ამ რეგიონების დაბრუნებას, არამედ ნიკოფისიაზეც ათენებენ უძილო ლამებს, უდიდეს დაქარგულზე კი იშვიათად თუ ვინმე ფიქრობს. მაგრამ „ლმერთი არ გასწირავს“ ალბათ ივერთა ქვეყანას...

სარჩევი



დაბაყება	3
მოგლები	3
სახელი ბატქას	5
აღზრდა	5
206 უძრა ყოფილი ყველა ბაზრატის მასნავლებები	7
ორიულობა ლიტერატურა	8
აზენის ციხის ძალები	9
მარტვილის ავავება	10
ბაზი — ბაზრატის პოლიტიკური რაზიდენცია	10
ბასილი უფლისცელი	11
ბასილი ბაზი (უფლისცელი?)	14
„სარდარი გადინსა“	17
ასული	18
„უკათა ვისვის ენებოს...“	18
მნაბს ასეთი შეიჭრებილი	19
„და მივიდე...“	20
„ბაზრატის ციხე“	22
ბაზრატის ფირის პვალება	24
ბაზრატის სახე გადინის ტაპარში	25
„აღზრდა მიმდინა... წიგნისა...“	26
ხოცის (ხვიმოვთის) საყდარი	26
„ოჯეს განვითარე იატაპი...“	28
„აღვენა... წალიტა...“	28
„არი მიუვაო...“	29
ტაპრის საზეიმო განსა	31
„მომიტები კახეთს“	37
„განუცხა ბაზრატი“	38
აგულაძი — პერატის მთავრად	40
„მიმდინარე“ ძავით	42

„რა ხელმა ააგო“	42
„რანთა მაფი“	44
მორიდ პირობეს	46
ფინარ დეპოზიტის ვინაობრა და გეღი	46
„იცყო ქართველ ქახეთისა“	48
დარგაზობრა ფანასპერტის	51
ცეიტიცხოვლის საყდრის ფუძის ჩატრა	54
ლაშპრობა რანს	55
„მიმოგრად და ერთგულყო“	63
მოსარენი	64
„მიგი არუდია“	64
მაფის ასულის გათხოვება	65
„ჯიბეთიდან ვიდრე გურგენიამდე“	66
„ორონიერონსა ორას ოცდათოთხევებისა“	67
გლოვა მაფისა	68
პარაშვილი ფანასპერტის	69
მაფის გადამოსვენების გზა	70
რუთათისის სასახლე ქაპეპში	70
მაფის ნების რუთაისი-გეღის გზაზე	71
მაფის დაპრალვა	71
გამრატის ფრესკა ზარზმას	72
გოლოსიტყვაობის მაგივრ	72



იური სიხარულიძე

ი. სიხარულიძემ საქართველოს ისტორიის კვლევა გასული საუკუნის 30-იანი ნლების შუახანებში დაიწყო, როდესაც ბათუმის საბაზო და სანიმუშო სკოლაში (ნინოშვილის ქ. №35) სწავლობდა. ამ დროს ის პა-

ტარ-პატარა ლექსებსაც ნერდა და რეფერატებსაც დიდი გულისყურით ეკიდებოდა. მისი გატაცება არც ისტორიის მასნავლებელს ბატონ მუჟავიას დარჩინია შეუმჩნეველი და მისი რამდენიმე რეფერატიც მოისმინა იურის კლასმა.

1949 წლის მარტში ის უკვე სერიოზული გამოკვლევით წარდგა საქართველოს სტუდენტთა პირველ სამეცნიერო კონფერენციაზე ქუთაისს და ქართული საისტორიო მნირლობის ხელმძღვანელის, აკად. ნ. ბერძენიშვილის ყურადღებაც მიიპყრო, ხოლო 1953 წლის მაისში ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხიც მოიპოვა.

შემდეგ ის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორიც გახდა და პროფესორიც (1969 წ.).

1987 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არჩევნებში მონანილეობდა, და მოგვიანებით რამდენიმე დარგობრივი აკადემიის წევრადაც აირჩიეს. (მათ შორის ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია).

იგი არის 30-ზე მეტი წიგნის, 25-ზე მეტი ბროშურის და 3 ათას-ზე მეტი საუკუნალო და საგაზეთო სტატიის ავტორი.

მინიჭებული აქვს დიდი ვაჟასა და დიდი ივანეს პრემიები.